При помощи языка люди выражают свои идеи, цели, желания и потребности. Чтобы эффективно общаться, мы должны осознать, что наше различие состоит в том, как мы воспринимаем мир и используем это понимание для общения с другими людьми. Язык может повлиять на поведение людей, а также на их взгляды. Люди, как правило, ис-

пользуют технологии эффективной коммуникации для влияния на других коммуникантов. Процесс убеждения опирается на факты и логику.

Ключевые слова:

эффективная коммуникация, факты, логика, барьеры.

აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობის თეორიები

ნანა გვენეტაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ: 557 444 792

Email: nanagven@yahoo.com

რეზიუმე

აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობის საკითხი აქტუალურია სამეცნიერო წრეებში. ქვემოთ მოცემულ ნაშრომი წარმოადგენს ამ საკითხის მოკლე მიმოხილვას. აფრიკულმა ტომებმა თავიანთი კულტურა და ტრადიციები შემოიტანეს ამერიკის ტერიტორიაზე. ეს ენაც მათი მემკვიდრეობის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისური არ ითვლის არსებობის დიდ ისტორიას, მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხები მაინც სადავო და ბუნდოვანია.

საკვანძო სიტყვები:

ენათმეცნიერება, კრეოლი, პიჯინი, აფრიკულ-ამერიკული ინგლისური, ჰიპოთეზა.

შესავალი

არც ერთ ეთნიკურ დიალექტს არ დაუმსახურებია იმდენი ყურადღება ინგლისური ენის ისტორიაში, რაც დაიმსახურა აფრიკულ-ამერიკულმა ინგლისურმა. ის ამერიკული ინგლისურის ყველაზე განხილვადი და ამავედროულად შესწავლილი დიალექტია. ბოლო რამდენიმე ათწლეული, განმავლობაში მისი სახელი რამდენიმეჯერ შეიცვალა და ეს ცვლილება უმთავრესად გამოწვეული იყო ეთნიკური იდენტობის ცვლილებებით ამერიკულ საზოგადოებაში.

ძირითადი ნაწილი

აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობის ისტორია დღესაც საკამათოდ რჩება ბევრი ენათმეცნიერისათვის. ვოლტ ვოლფრამი და ბენჯამინ ტორბეტი მიიხევენ, რომ ამ ენის ფესვები აფრიკული ტომებიდან მოდის და მონათა ვაჭრობის თანადროულად განვითარდა.

დებატები ენის წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ საკმაოდ მიღებული და გავრცელებულია ენის ისტორიაში, მაგრამ რასების ურთიერთობის ისტორია ამერიკულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აფრიკელი ტომები ბევრ ენაზე საუბრობდნენ, როგორებიცაა: მანდიკა, მენდე, გოლა და მრავალი სხვა. რაც შეეხება ინგლისურს, აფრიკიდან ემიგრირებულმა ხალხმა მისი შესწავლა ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო. აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის ადრეული განვითარების აღწერა ისტორიული, ენათმეცნიერული და პოლიტიკური გამოწვევაა. დოკუმენტები ამის შესახებ ნაკლებად არსებობს, თუ როგორ მოხდა ეს ენობრივი შერწყმა. როდესაც ამერიკაში დიდი კოლონიზაცია დაიწყო და მონებით მოვაჭრობას საფუძველი ჩაეყარა, სწორედ აქედან იწყება აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის განვითარების ისტორია. როგორც უკვე აღვნიშნეთ წყაროები ამის შესახებ მწირია და პირველადი განვითარების ნიშნები მხოლოდ ზეპირ გადმოცემებსა და ვაჭრობის ამსახველ დოკუმენტებში გვხვდება.

თავდაპირველად ორი ძირითადი მიმდინარეობა გამოიკვეთა აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობასთან და ადრეულ განვითარებასთან დაკავშირებით;

Anglicist Hypothesis – ანგლიცისტების ჰიპოთეზა;

Creolist Hypothesis – კრეოლისტების ჰიპოთეზა.

რაც შეეხება პირველ, ანგლიცისტურ ჰიპოთეზას, მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ აფრიკულ ამერიკური ინგლისურის ფესვები მოდის ევროპულ-ამერიკული დიალექტებიდან, კერძოდ კი ამ დიალექტზე საუბრობდნენ ჩრდილო ამერიკის სამხრეთ ნაწილში; როდესაც მონები დასახლდნენ კოლონიებში მათ უბრალოდ შეისწავლეს ინგლისური ენა და სწორედ აქედან მოდის აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის საწყისები.

1960-70-იან წლებში ანგლიცისტების პოზიციას დაუპირისპირდა კრეოლისტები. მათი მიმდევრები აღნიშნავენ, რომ სხვა ევროპული ემიგრანტებისგან განსხვავებით, აფრიკელი ემიგრანტები იძულების გზით შემოვიდნენ ამერიკაში, როგორც მონები, ასე რომ, ჩამოყალიბდა სულ სხვა ენა, კრეოლური, რომელიც კომუნიკაციის საშუალებას აძლევდა მონებს. კრეოლისტები არ უარყოფენ, რომ კრეოლი დაფუძნებულია ინგლისურზე და მისი ლექსიკის დიდ ნაწილს იზიარებს, თუმცა მასში აგრეთვე არის აფრიკული ენების კვალიც. რაც შეეხება თვით კრეოლურს, ის განვითარებულია პიჯინისაგან. პიჯინი არის ენის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციის დროს ლიმიტირებულად. რას ნიშნავს ლიმიტირებულად გამოყენება? პიჯინს აქვს მკვეთრად შეზღუდული სოციალური როლი, მისი გამოყენება ხდება მაშინ, როცა მოსაუბრენი საუბრობენ სხვადასხვა ენებზე, აქვთ მრავალჯერადი კონტაქტი, როგორცაა: ვაჭრობა, მიგრაცია და ა.შ და ვერ ხერხდება კომუნიკაციის სრულყოფილად დამყარება ენათა უცოდინრობის გამო. ეი პიჯინი კომუნიკაციის გამარტივებული საშუალებაა, ის არ არის რომელიმე ქვეყნის ენა, მას არ აქვს გრამატიკული, მორფოლოგიური და ფონეტიკური მახასიათებლები. რაც შეეხება კრეოლურს, როგორც ჰოლი აღნიშნავს, ის არის პიჯინიდან განვითარებული ენა. იმ ხალხის შთამომავლები, ვინც

პიჯინს საუბრობდა როგორც პირველად ენას, საუბრობდნენ კრეოლურად. მას აქვს უფრო განვითარებული ლექსიკა და რთული გრამატიკული და ფონეტიკური რესურსები.

ანგლიცისტების ჰიპოთეზის მხარდამჭერები იყვნენ დიალექტოლოგიები ჰანს კურათი და რავენ მაკდევიდი. მათი კვლევის მიხედვით, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში იქნა ჩატარებული და მასში მონაწილეობას იღებდა როგორც აფრიკულ-ამერიკელები, ასევე სამხრეთ შტატების ადგილობრივი მკვიდრნი, გაკეთდა დასკვნა, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის ბევრი თავისებურებანი ემთხვეოდა ადგილობრივების დიალექტს. ეს დიალექტი ფართოდ იყო გავრცელებული ბრიტანეთის კუნძულებზე და როგორც კურათი ამბობდა: „საერთო ჯამში აფრო-ამერიკელი საუბრობს ადგილობრივების ენას, მისი ადგილის, არეალის და განათლების მიხედვით“. ეს იყო უმთავრესი ჰიპოთეზა აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის განვითარებისა XX საუკუნის სამოციან წლებამდე.

კრეოლისტების ჰიპოთეზა პირველი სერიოზული ალტერნატივა იყო ანგლიცისტების ჰიპოთეზისა. XX საუკუნის სამოციანი წლებიდან წამოვიდა მოსაზრება, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისური სულაც არ იყო ინგლისურის ევროპული დიალექტი და რომ ის განვითარდა კრეოლურიდან. ამ ჰიპოთეზის მომხრეები ვარაუდობენ, რომ კრეოლი ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში. ისინი აცხადებენ, რომ ეს იყო საფუძველი აფრიკულ-ამერიკული ინგლისურისა. ეს ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის განვითარება აფრიკელებისა და ევროპელების ადრეული ურთიერთკავშირის შედეგი იყო.

ამ მოსაზრებით გამოვიდნენ ისეთი ენათმეცნიერები როგორებიც იყვნენ: ბეილი, სტიუარტი, დილარდი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კრეოლური, რის საფუძველზეც აფრი-

კულ-ამერიკული ინგლისური განვითარდა, არ წარმოადგენდა რაიმე უნიკალურს, უფრო ზუსტად რომ განემარტოთ, მას ბევრი მსგავსება ჰქონდა ინგლისურზე დაფუძნებულ კრეოლურთან, დიალექტთან, რომელზეც საუბრობდნენ კარიბიის კუნძულების, ბარბადოსის და ჯამაიკის მკვიდრნი და ეს კრეოლური ახლაც გავრცელებულია გუალას ტერიტორიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი არ ეთანხმება კრეოლისტების ჰიპოთეზას, ის მაინც ერთ-ერთ მყარ მიმდინარეობად მიიჩნევა ენათმეცნიერების სფეროში. საკმაოდ ბევრი კვლევა იქნა ჩატარებული როგორც სოციალური, ასევე ენათმეცნიერული განხრით, რათა მომხდარიყო კრეოლისტების ჰიპოთეზის გამყარება.

1980-იან წლებში მეცნიერებისათვის ახალი მასალები გახდა ხელმისაწვდომი, რომელმაც კრეოლისტების ჰიპოთეზა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ეს იყო წერილობითი წყაროები, ჩანაწერები და სხვა სპეციალიზირებული ტექსტები. მაგ.: ჰიატის ტექსტები (Hyatt texts). ეს იყო ინტერვიუები, რომლებიც ჩაწერილი იყო ვუდუს ჯადოქრებთან და შავი მაგიის მიმდევრებთან 1930-იან წლებში. ამ ჩანაწერებზე და აუდიო მასალებზე დაყრდნობით ცხადი გახდა, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისური დიდად არ განსხვავდებოდა იმ ევროპულ-ამერიკული დიალექტისაგან, რომელზეც სამხრეთის შტატების მკვიდრნი საუბრობდნენ. ამას მეორე ფაქტიც დაერთო. 1820-იან წლებში აფრო-ამერიკელების რამდენიმე ჯგუფი საცხოვრებლად პენსილვანიის შტატიდან გადავიდა კანადასა და ღომინიკის რესპუბლიკაში. ეს ჯგუფები იზოლირებულად ცხოვრობდნენ ადგილობრივებისაგან და თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს ენა. 1990-94 წლებში ამ ჯგუფებზე ენათმეცნიერებმა პოპლაკმა და ტაგლიამონტმა ჩაატარეს კვლევები, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ მათი დიალექტი მსგავსი

იყო სამხრეთში გავრცელებული ევროპულ-ამერიკული (European – American English) დიალექტისა. ამან კი საბოლოოდ ეჭვქვეშ დააყენა კრეოლისტების ჰიპოთეზა.

ცოტა უფრო მოგვიანებით მესამე ჰიპოთეზაც ჩამოყალიბდა აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობის შესახებ. ეს იყო ნეო-ანგლიცისტების (Neo-Anglicist hypothesis) ჰიპოთეზა. ანგლიცისტების მსგავსად, მათაც სწამთ, რომ აფრიკულ-ამერიკული ინგლისური ნაწილობრივ დაყრდნობილია ბრიტანულ ინგლისურზე, თუმცა, თანამედროვე აფრიკულ-ამერიკული ინგლისური უკვე აღარ მიიჩნევა ბრიტანული დიალექტის ნაწილად, არამედ ნეო-ანგლიცისტები აცხადებენ, რომ თანამედროვე აფრიკულ-ამერიკული ინგლისური უფრო მრავალფეროვანი გახდა, რასაც ხელი შეუწყო აფრიკულ-ამერიკული სათვისტომოს უნიფიცირებამ.

დასკვნა

ამგვარად, აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს, თითოეულ მათგანს საკმაოდ მყარი დასაბუთებული კვლევები ამყარებს, თუმცა, ალბათ, ყოველთვის იქნება კამათი იმის შესახებ, თუ რომელია უფრო მისაღები და სწორი.

ლიტერატურა:

1. Rickford J. R. African American Vernacular English: Features, evolution, Educational implications
2. Green L. (2002): African American English: A linguistic introduction. Cambridge: Cambridge University Press. The origin of African –American English

The origin of African-American English

Nana Gvenetadze
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava St., 0175, Tbilisi, Georgia
Tel: 557 444 792
Email: nanagven@yahoo.com

Abstract

The issue of the origin of Africa -American English is one of the urgent matter in linguistic circles. This article is a brief overview of this issue. African tribes brought their culture and traditions in America. This language is a part of their heritage. Although the African-American English does not count the long history of existence, the issue of its origin and development are still controversial and unclear.

Keywords:

linguistics, Creole, pidgin, African-American English, hypothesis.

Теории происхождения африкано-американского английского языка

Гвенетадзе Нана Борисовна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Tel: 557 444 792
Email: nanagven@yahoo.com

Резюме

В научных кругах вопрос происхождения африкано-американского английского языка очень актуален. Статья представляет краткий обзор этого вопроса. Африканские племена внесли свою культуру и традиции на территорию Америки. Этот язык является частью их наследства. Несмотря на то, что африкано-американский английский язык не имеет давнишнюю историю, вопросы его происхождения и развития все равно остаются спорными и неясными.

Ключевые слова:

лингвистика, креол, пиджин, африкано-американский английский, гипотеза.

Language and the Internet

Rusudan Gotsiridze
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 893 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

Abstract

Technological evolution is at high speed. There are seven electronic situations in which language is used - e-mail, synchronous chat groups, asynchronous chat groups, virtual worlds, World Wide Web, instant messaging and blogging.

The seven Internet situations have certain linguistic properties in common. The Internet is not only an information superhighway, but it is a communicative power as well: it has created new social circumstances.

The invention of other communication media in the past, such as writing, printing, phoning, faxing and text-messaging, have not only had an influence on our daily lives, but on our language as well. The invention of the Internet is no exception to this rule.

Keywords:

Technological evolution, text-messaging, “global” relationships, Internet conceptions, internet communication, internet users.

Introduction

The Internet has helped people from all over the world to become connected to one another, enabling “global” relationships to be formed. As such, it is important for the various types of slang used online to be recognizable for everyone.

Different types of online communication have to be taken into account, each of which creates a language variety. There are rules in each language situation which govern the use of language. Inter-

net language is a combination of written and spoken language. Though at first sight the Internet is dominated by written text, the Internet language is highly influenced by oral language. The online interaction shares certain characteristics with the act of speech.

Main Body

With the development and popularization of computer technology and Internet, Internet language comes into being. As a popular media, Internet demands a simple and convenient language for people to use in communication. English, as the most commonly used language on the Internet, catches people’s attention

due to its distinct language features. Generally speaking, Internet English refers to the language used in E-mails, Discussion Groups, Chat Rooms, and WWW Pages, etc. According to R. A. Huson (1980), a language variety is any distinguishable form of speech used by a speaker or a group of speakers. Therefore, Internet English can be regarded as a new variety of English, and besides the common features it shares with other varieties, it also presents some distinct features in word-formation and lexicon. Knowing the regulations and characteristics of Internet English, people can not only enlarge their vocabulary, more importantly, they can make better use of network resources with the language and achieve effective communication on the internet.

Nowadays the information-intensive society has developed rapidly in science and technology, the lengthy and miscellaneous words will inevitably be replaced by brief and concise words. Therefore, abbreviation is the most frequently used word-building means of current network English. It has not merely enriched the vocabulary of English and provided convenience for English users, it also represents a kind of trend of simplification in English vocabulary (Susan C. Herring, 2007). For example,

websites usually begin with “www”, which is a typical example of abbreviation.

In modern times, people tend to be economical in writing and speech to keep up with the fast tempo of the new life style. This is especially true in Internet English. To save time one is likely to clip words that are frequently used, e.g. bike for bicycle, auto for automobile, taxi for taximeter cabriolet. We use econ, math, and trig for economics, mathematics, trigonometry when we talk about school life. In catering business, we have a burger instead of a hamburger. In technology system, we create uni for university, info for information, Netizen for net citizen, netnews for network news, netiquette for network etiquette, etc. Although some of the clipped forms are not generally accepted by many conservative linguists and scholars, they prove to be effective and popular on the Internet.

Clipping can be classified into the following four types:

a) Front clipping: cause (because) ; copter (helicopter) ; phone (telephone)

b) Back clipping: hang on a sec (hang on a second); deli (delicatessen); fan (fanatic); disco (discotheque);

c) Front and back clipping: cuz (because); flu (influenza)

d) Phrase clipping: pop (popular music)

Another common way of making new short words is acronymy. Acronymy is the process of forming new words by joining the initial letters of a phrase. Words formed in this way can be subdivided into initialisms and acronyms depending on the pronunciation of the words. Initialisms are words pronounced letter by letter while acronyms are pronounced as normal words. The following words serve as good examples:

a) Initialisms: IT (information technology), WWW (World Wide Web), BTW (by the way), FYI (for your information)

b) Acronyms: NATO (the North Atlantic Treaty organization), AIDS (acquired immune deficiency syndrome), BASIC (Beginner’s All-purpose Sym-

bolic Instruction Code), laser (lightwave amplification by stimulated emission of radiation), sonar (sound navigation and ranging), N-bomb (nuclear bomb).

The most distinctive features of Internet English are its flexibility and freeness, therefore, letters and numbers are frequently used in combination to form a special type of abbreviation. That’s to say, we often

use a number or a letter to replace one or more letters in a word, in case the number or the letter has the partial tone with its substitute. In Internet English it is common to find that a letter or combination of letters

is used to replace words or phrases which happen to share similar pronunciations. For example, r - are, b -be/bee, c- see, o - oh, oic - oh, I see, icq - I seek you, how r u - how are you. Numbers are often used in the same way, for example, “before” is written as “b4” in Internet English, because “4” has a partial tone with “fore”. More examples are: 2B - to be, some1 - someone, f2f - face to face, B2B - Business to business, 3W - World Wide Web and 4ever - for ever. Although many people consider this kind of expression as non-standard, it proves to be popular and expressive on the Internet.

Blending is the formation of new words by combining parts of two words or a word plus a part of another word, such as smog (smoke + fog). It is a relatively complex form of compounding. There are mainly three kinds of blends in Internet English (CHEN Ying, 2005):

The first type of blends may be the combination of one part of one word and one part of the other word or a word plus a part of another word. For example, Netizen - net citizen; netzine - net magazine; netiquette - Internet Etiquette; informercial - information commercial; infochannel - informal channel, technet - technology net, infocosm - information cosmos, Webster - web master; computerate - computer literate; buckster - buck broadcaster; comernet - commercial network.

The second type of blends is the combination of

a letter of one word and another word. For example, e-mail - electronic mail; e-life - electronic life; e-cash - electronic cash; e-commerce - electronic commerce; e-wallet - electronic wallet; e-book - electronic book.

Compounding has become a more and more important Internet English word-building means. These words are mostly some professional terms related to computer network. A great part of these terms are neologisms. They are generally developed from the words which have the meaning of “network”, such as web, net, computer, internet, online. For example, cyber stalker, hypertext.

As more and more new Internet conceptions come into being, an affix is able to derive many new words, which are easy to understand. Affixation is generally defined as the formation of words by adding word-forming or derivational affixes to bases. This process is also known as derivation. The most productive affixes that are used in Internet English are as follows: -ible : compatible; cyber- : cyberspace, cybercrime; de- : debug; delurk. digit- : digiter; digit head. hyper- : hyperlink; hypermedia; hypertext; hyper access. micro- : microserf; micro-money; micropayment. tele- : teleconference; tele-commute. re- : reboot; reassemble; redirect. sub- : subdirectory; subnet. -ize : digitize; maximize.

The appearance of Internet English not only increases the number of English vocabulary but also produces some strange signs, which are usually used to express emotions (SUN Hong-mei 2010). Some scholars call these signs emoticons. They are used just because in the virtual world of Internet, most communication is performed through words, in which we cannot express our facial expressions or gestures. Therefore, people use punctuations, letters or the combination of signs to make up this. The signs used are fresh and vivid, and can achieve a kind of humor. For example, when people chat on the internet, they often use colon “:” to denote eyes, dash “-” for nose, and “()” for mouth, “T-T” for crying, “^□^” for joy, which are vivid and humorous.

Just as what we have analyzed, based on the In-

ternet’s features of rapidity, efficiency and personalization, Internet English tends to add to its language system more abbreviations, more symbols and more short forms with rich meanings. Internet English is formed out of the special needs of internet communication; therefore, it is characterized by fast innovation and quick spread and has the characteristics of popularity, creativity, brevity and vividness.

Conclusion

Network English become popular and familiar to people very quickly. That is to say, the great use of derivation and compounding makes Internet English popular and easy to understand. Netizens can recognize many new words through their affixes. For instance, “cyber” which originally comes from Greek, now means “computer, or net”. Cyber activist, cyber addict, cyber attack, cyber cop, cyber brain, cyber surfing and so on are all derived from it. Words combined with it are e-business, e-form, e-mail, e-service, etc. Other familiar affixes are: “digit-”, “internet-”, etc. Many compounds in Internet English are also simple to internet users to understand and to memorize. Many new compound words are the combination of a common word and a word which carries a specific meaning. For instance, “web”, which originally means “network of fine threads spun by a spider or some other spinning creature”, carries the specific meaning of “internet” in Internet English. Therefore users will not have difficulty in understanding words like “web page”, “web site” or “web messenger”.

Most netizens are usually young people and they have great creativity (Reid, Elizabeth M. 1991). The number of Internet English increases by 500 words each year. Oxford Dictionary once wanted to record these new words, however, for its high speed, they failed. Besides those newly-coined words and expressions, the use of signs on the internet to express gestures and emotions can be regarded as a good illustration of creativity.

Literature

1. Chen Ying (2005): On the Regularity of English Network Neologisms. *Journal of Minjiang College*. 1
 2. Susan C. Herring (2007): A Faceted Classification Scheme for Computer-Mediated Discourse. <http://www.languageatinternet.org/articles/2007/761>
 3. Hudson R. A. (1980): *Sociolinguistics*. London: Cambridge University Press
 4. SUN Hong-mei (2010): A Study of the Features of Internet English from the Linguistic Perspective, *Studies in Literature and Language*. Vol. 1. № 7. Pp. 98-103. www.cscanada.org
- Reid Elizabeth M. (1991): Electropolis: Communication and community on Internet Relay Chat. Unpublished senior honours thesis. University of Melbourne. Australia. Available at <http://www.aluluei.com>

ენა და ინტერნეტი

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 593 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

რეზიუმე

ტექნოლოგიური ევოლუცია სწრაფად მიმდინარეობს. არსებობს შვიდი ელექტრონული სიტუაცია, სადაც ინტერნეტის ენა გამოიყენება: ელექტრონული ფოსტა, სინქრონული ჩეთ ჯგუფები, ასინქრონული ჩეთ ჯგუფები, ვირტუალური სამყარო, მსოფლიო ქსელი, მესიჯი, ბლოგი. ზემოაღნიშნულ შვიდ ინტერნეტ სიტუაციას აქვს საერთო ლინგვისტური თავისებურებები. ინტერნეტი კომუნიკაციის წყაროა, რომელიც ახალი სოციალური მდგომარეობის საფუძვლად

იქცა. წარსულის ისეთმა საკომუნიკაციო გამოგონებებმა, როგორცაა წერა, ბეჭდვა, ტელეფონი, ფაქსი და ტექსტური შეტყობინება, გავლენა იქონიეს არა მარტო ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, არამედ ენაზეც. ამ მხრივ, არც ინტერნეტი გამონაკლისი.

საკვანძო სიტყვები:

ტექნოლოგიური ევოლუცია, ტექსტური შეტყობინება, გლობალური ურთიერთობები, ინტერნეტ კონცეფციები, ინტერნეტ კომუნიკაცია, ინტერნეტის მომხმარებლები.

Язык и Интернет

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

Резюме

Технологическая эволюция развивается быстро. Язык интернета употребляется в семи электронных ситуациях – электронная почта, синхронные чат группы, асинхронные чат группы, виртуальный мир, глобальная сеть, сообщение, блоггинг. Вышеупомянутые интернет ситуации имеют общие лингвистические особенности. Интернет является источником коммуникации и базисом нового коммуникативного положения. Такие коммуникативные изобретения прошлого как писание, печатание, телефон, факс и текстовые сообщения повлияли не только на нашу повседневную жизнь, они повлияли и на язык. В этой связи интернет не является исключением.

Ключевые слова:

Технологическая эволюция, текстовое сообщение, глобальные взаимоотношения, интернет концепции, интернет коммуникация, интернет пользователи.

ჯონ ქიტსის პოეზიის ძირითადი ლინგვო-სტილისტური თავისებურებები

ციური დეკანოზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 937 373
E-mail: tsia_26@yahoo.com

რეზიუმე

ფონეტიკურ დონეზე ქიტსის პოეზიისათვის დამახასიათებელია ალიტერაცია და ასონანსი, ასევე ბგერათა თავისებური მონაცვლეობა; სიტყვაწარმოების დონეზე მნიშვნელოვანია სუფიქსის -est ხმარების სიხშირე, ასევე შემდეგ სუფიქსთა ფორმებიც: -let/ret; მითითებულ საშუალებათა გვერდით ასევე გამოყენებულია ავტორისეული სიტყვაშეთანხმებები. სინტაქსურ დონეზე განსაკუთრებით შეინიშნება რთული სინტაქსური კონსტრუქციები და გრძელი წინადადებები.

ქიტსის რიტმის დონე უზრუნველყოფს ლექსის რიტმულ ორგანიზაციას სხვადასხვა ენობრივ დონეთა საშუალებებით. სტროფულ სივრცეში ქიტსი მიჰყვება კლასიკური ლექსწყობის კანონებს.

საკვანძო სიტყვები:

ალიტერაცია, ასონანსი, სინტაქსი, რიტმული ორგანიზაცია.

შესავალი

„რამდენიმე ერთგული მეგობარი, რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი, მგზნებარე სიყვარული და ადრეული სიკვდილი“ – ამ სიტყვებით აღწერს ლორდ ხოტონი ოცდახუთი წლის პოეტის – ჯონ ქიტსის ცხოვრებას.

ამ მართალი სიტყვების მიღმა დგას მწუ-

ხარე და მეღანქოლოგიური ადამიანის სახე, ადამიანის, რომელსაც თითქმის არაფრის გაკეთება დასცალდა.

ჯონ ქიტსის შემოქმედებითი ცხოვრება დაახლოებით ექვს წელს ითვლის. მისი სიკვდილი უმძიმესი იყო იმ დანაკლისთა შორის, რაც კი ოდესმე გადაუტანია ინგლისურ ლიტერატურას. ჯონ ქიტსმა მოასწრო და დიდება მოუტანა თავის ქვეყანას, დაუტოვა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც არა მხოლოდ „ატყვევებენ სამუდამოდ“ („a joy forever“), არამედ შთააგონებენ მომავალ თაობებს, იქცევიან პოეტური მოძრაობის კონიოდ (დიაკონოვი).

მშობლების ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ 15 წლის ქიტსი მიემგზავრება ლონდონში მედიცინის შესასწავლად. იქვე ის ეცნობა ანტიკურ ლიტერატურას (ანტიკური მოტივები შემდგომშიც მრავლად გვხვდება ქიტსის პოეზიაში). ელინისტური იდეებითაა გაჟღენთილი მთელი მისი შემოქმედება. ღვთიურისა და მიწიერის კავშირი, ბუნების გაღმერთება, მითოლოგიური პერსონაჟები და სიუჟეტები – ეს ის ელემენტებია, რაც აკავშირებს ქიტსის ნაწარმოებებს ანტიკურ ასპექტებთან და ელინისტურ იდეებთან. ქიტსი სილამაზეს ეთაყვანება, ის მშვენიერების შთამაგონებელი პოეტია.

ძირითადი ნაწილი

ქიტსის პოეტური ენას ქმნის პოეტის მიერ გამოყენებული სტილისტური თავისებურებების მთელი სპექტრი.

ქიტსის პოეზიაში ფონეტიკურ დონეზე სტილისტური თავისებურებები გამოსატყუელია ისეთი ხმოვანი ეფექტებით, როგორცაა ალიტერაცია, ასონანსი და მონაცვლეობა. ყველაზე ხშირად კი ეს გახლავთ ალიტერაცია და ასონანსი; გარდა ამისა, ბგერების თავისებური მონაცვლეობა, განსაკუთრებით

ტექსტის იმ ნაწილებში, სადაც იშლება ესა თუ ის მხატვრული ხასიათი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაწევები პოეტის ლექსიდან „ოდა ზღვასთნ“ (“On the sea”):

“It keeps eternal whisperings around
Desolate shores, and with it mighty swell
Gluts twice ten thousand caverns, till the spell
Of Hecatelea vesthemold shadowy sound”.

ჩურჩული (“whisperings”) და ზღვის ხმაური (“swell”) გადმოიცემა დომინანტი ფრიკატიული ბგერების და ბგერების (ტ) და (დ) მონაცვლეობით, ამ ბგერების მონაცვლეობა განსაკუთრებით შესამჩნევია შუა ოთხტაეპში: ...mighty swell/Gluts twice ten thousand caverns”, ამავე დროს სწორედ ამ ნაწილში აღწევს კულმინაციას ზღვისა და ბუნების ხმები - “mighty swell”, “Gluts twice ten thousand”- ამ გზით ალიტერაციული ხერხები ერთგვარად ხელს უწყობენ ამა თუ იმ მხატვრული სახის გახსნას ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი ბუნების აღწერის დროს.

ქითსი ძალზე ხშირად მიმართავს -est სუფიქსს და მისი მეშვეობით ახდენს საგნების ჰიპერბოლიზაციას, მაგალითად: “softest rustles”, “rarest flowers”, “freshest breeze”, “balmiest sleeves”, “pearliest dew”, “deepest grass”; ასევე ხშირად იყენებს ის კნინობით სუფიქსებს -let/-et/-ret საგნების მნიშვნელობათა შემცირებისათვის, მაგალითად: streamlet, cloudlet, circlet, “brooklet”, “rivulet”, “floweret”; ამგვარი არსებითი სახელების უმრავლესობას პოეტი იყენებს ზღვის ობიექტების აღსაწერად. ხშირ შემთხვევებში ქითსი მორფოლოგიური ფორმების შევსებას ახდენს ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებების მეშვეობით. მაგალითად: ავილოთ სიტყვა rill, მისი ლექსიკური მნიშვნელობა არის პატარა ზომის ნაკადული, მაგრამ პოეტი დამატებით აძლიერებს მის მნიშვნელობას მორფოლოგიური ფორმით (სუფიქსით – let), ან პირიქით, მაგალითად სიტყვა streamlet კიდევ უფრო შემცირებულად არის წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულის - little დამატებით: “little streamlet”.

აღნიშნურ ელემენტებთან ერთად მინდა ხაზი გაგუსვათ ავტორისეულ სიტყვაწარმოებებს, რაც უხვად გვხვდება მის ნაწარმოებებში: “ne-thoughted,” “never-wandering,” “guilelesslove”, “ship-mastforests”.

ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე პოეტის შემოქმედებაში აღსანიშნავია მის მიერ ხშირად გამოყენებული საკუთარი სახელეები, განსაკუთრებით ანტიკური ლიტერატურის და რომაული და ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების სახელები და ასეთი პერსონაჟების სახელთაგან განსაკუთრებული როლი აქვს მზისა და სინათლის ღმერთს აპოლონს (Appolo). აქვე მინდა შევნიშნო, რომ ეს მხოლოდ ქითსისთვის არ არის დამახასიათებელი, სხვა რომანტიკოსებიც და მათ შორის უორდსუორთი, კოლრიჯი, შელი და ბაირონიც ხშირად იყენებენ თავიანთ შემოქმედებაში ამ თავისებურებას.

თუ ადრეულ პერიოდში ქითსის ენა დატვირთული იყო არქაიზმებით და ნაკლებად გამოყენებადი გამოთქმებით (რაც მემკვიდრეობით გადმოეცა სპენსერისა და სხვა ძველი ინგლისელი პოეტებისაგან), შემდგომში პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით უფრო სუსტ და გამომხატველობით რთულ ეპითეტებს, რთულ, გავრცობილ მეტაფორებს. ქითსი აგრეთვე ხშირად მიმართავს ერთმანეთთან დაპირისპირებულ ლექსემებს: “beneath” - “above”, “never - ever”, “golden” - “silver”, “light - shade”, “voice/music/sound-silence”.

გრამატიკულ დონეზე ქითსის პოეზიისთვის დამახასიათებელია “of” – ფრაზული მიმართვები: “Queen of the wide air”, “O maker of sweet poets, dear delight of this fair world”, “Nymph of the downward smile”, “halo of crystal rivers”; ძირითად მიმართვები მითიური პერსონაჟებისა და ბუნების მიმართ.

სინტაქსურ დონეზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქითსის რთული სინტაქსური კონსტრუქციები და გრძელი წინადადებები. მაგალითად, ლექსში “Happy is England I could be content. . .” 14 სტრიქონი

შედგება ორი წინადადებისგან და ლექსში “Endumion” 19 სტრიქონი შედგება ასევე ორი წინადადებისგან. ჩვეულებისამებრ, კომპოზიციურად ამგვარი წინადადებები წარმოადგენენ სინტაქსურდ აზრობრივ მთლიანობას.

ქითსის ერთ-ერთ სტილისტურ ხერხს წარმოადგენს ცალკეულ სიტყვათა ან წინადადების ნაწილთა გამოყოფა სტრიქონის აზრობრივი, ლოგიკური და ინტონაციური ორგანიზაციის შესაქმნელად, მაგალითად: “I cry your mercy, pity, love - ay, love!” “O! Let me have the whole, - all, all, be mine!” („To Fanny“).

რიტმულ დონეზე ქითსის ინდივიდუალური სტილი უზრუნველყოფილია რიტმული ორგანიზაციული საშუალებებით სხვადასხვა ენობრივ დონეზე (ალიტერაცია და ასონანსი, პარალელური კონსტრუქციები და სინტაქსური ორგანიზაციები).

სტროფიკის დონეზე ქითსი მიჰყვება კლასიკური ლექსწყობის კანონებს (ზომა, სტროფიკა). მაგ., პეტრარკას მოდელები - ორი ორტაეპიანი და ორი სამტაეპიანი; ამგვარი სტროფიკით არის დაწერილი ქითსის სონეტების უმრავლესობა, შექსპირის მოდელები - 3 ოთხტაეპიანი და ერთი ორტაეპიანი; გარდა ამისა, ავტორის (ქითსისეული) მოდელები, როდესაც ოთხტაეპიანში გამოყენებულია ჯვარედინი რითმი ან ავტორის მიერ შეხამებული - სხვადასხვა რიტმი პირველ და მეორე ოთხტაეპში.

დასკვნა

ქითსის სტროფიკის მრავალფეროვნებამ, ლოგიკურმა მელოდიკამ, მკაფიო ვიზუალურმა და გრძნობითმა სახეებმა, სწორად შერჩეულმა სიტყვებმა, სრულყოფილმა პოეტურმა ენამ საგრძნობლად გაამდიდრა ინგლისური ლექსი, გახადა ის უფრო მრავალფეროვანი, გამომხატველობითი, მოქნილი და მელოდიური.

ლიტერატურა

1. Jakobson R. (1990): Linguistics and Poetics
2. დოიაშვილი თ. (1981): ლექსის ევფონია. თბილისი
3. Виноградов В. В. (1963): Стилистика. Теория Поэтической речи. Поэтика. М.
4. Диаконова Н. Я. (1973): Китс и его современники. М.
5. Китс Дж. (1998): Стихотворения. Поэмы. Бессмертная библиотека. «Рипол классик». М.

Lingo-Stylistic Peculiarities of John Keats poetry

Tsiuri Dekanozishvili

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

77 Kostava St, 0175. Tbilisi; Georgia

Tel: 599 937 373

Email: tsia_26@yahoo.com

Abstract

At the phonetic level alliteration and assonance are characteristic of all Keats works; At the word-forming level Keats along with the frequently used suffixes –“est” and –let/et/ret, uses his (author’s) own word-formations; At the syntax level the poet uses complex syntax phrases and considerably long sentences; At the prosodic level Keats ensures rhythmic organization by means of different lingual devices and follows canonic forms of classical versification.

Keywords:

alliteration, assonance, syntax, rhythmic organization.

Лингво-стилистические особенности поэзии Джона Китса

Деканозишвили Циури Семёновна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 599 937 373
Email: tsia_26@yahoo.com

Резюме

На фонетическом уровне для поэзии Китса характерны аллитерация и ассонанс, а так же своеобразное чередование звуков. На уровне

словообразовательных моделей у Китса значительна частота употребления -est, так же значительна частота употребления суффиксов - let/et/get; Наряду с указанными средствами также характеризуются авторские словообразования. На синтаксическом уровне особенно заметны сложные синтаксические конструкции и значительна длина предложения. Ритмический уровень Китса обеспечивает ритмическую организацию средствами разных языковых уровней. В области строфики характерно следование канонам классического стихосложения.

Ключевые слова:

аллитерация, ассонанс, синтакс, ритмическая организация.

Stylistic Deviation as an Unexpected Irregularity in Language

Marina Zoranyan

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

Abstract

The concept of linguistic deviation is arising from the Russian formalists. It is **widely** used in literary stylistics. Linguistic deviation is one of the means of language by which foregrounding is achieved. Deviation as an unexpected irregularity in language is the breaking of rules which writers or speakers normally obey. Stylistic deviation is a device frequently adopted by writers of literary works to attract the reader's attention, and to differentiate themselves from other writers. When an idea is presented in a way that is different from the expected way, then it is a deviation from the norm. A kind of deviation as a variation from "normal" usage is called external deviation. Deviation internal to the given text as opposed to external is called internal deviation. Deviation can occur at any linguistic level. Leech distinguishes eight types of deviation: lexical, grammatical, phonological, graphological, semantic, dialectal deviation, deviation of register and of historical period.

Keywords:

linguistic deviation, foregrounding, internal and external deviation, lexical deviation, grammatical deviation, phonological deviation, semantic deviation.

Introduction

The concept of linguistic deviation is arising from the Russian formalists. It is **widely** used in literary stylistics. Linguistic deviation is one of the means of

language by which foregrounding is achieved.

Foregrounding in language was first identified by Mukařovsky (1964). It refers to features of the text which in some sense "stand out" from their surroundings. The term itself is a metaphorical extension of the concept of foregrounding in the visual arts (e.g. painting and photography). It refers to the range of stylistic effects that occur in literature, whether at the phonetic level (e.g., alliteration, rhyme), the grammatical level (e.g., inversion, ellipsis), or the semantic level (e.g., metaphor, irony). Foregrounding theory suggests that in any text some sounds, words, phrases, and clauses may be so different from what surrounds them, or from some perceived "norm" in the language generally, that they are set into relief by this difference and made more prominent as a result. In stylistics, the notion of foregrounding is used by Leech and Short (1981: 48) to refer to 'artistically motivated deviation'.

Main Body

The problem of variants of the norm, or deviation from the norm has received a considerable attention among linguists and stylisticians.

When a writer wants to make his language creative or inventive, she/he uses a language different from the conventional and everyday language of his day. Using unconventional or unusual language, he can give his readers unexpected surprise and make a strong impression on their mind. This kind of the creative use of language is technically called a linguistic deviation by which the writer creates a language deviated from the norms of literary convention (Leech, 1969:50).

Leech explains linguistic deviations with a concept of foregrounding "... anyone who wishes to investigate the significance and value, of a work of art must concentrate on the element of interest and sur-

prise, rather on the automatic pattern such deviations from the linguistic or other socially accepted norms have given the special name of foregrounding. The foregrounding figure is the linguistic deviation and the background is the language". (ibid.:57)

Leech (1969) remarks that any deviation from the established norms of the language is impermissible in ordering everyday life speech, as for the poets, deviation becomes a matter of choice.

Nowotny (1962) points out that "poetic language has been called a deviation from the linguistic norm, the norm being the ordinary (spoken) language and the language of prose".

Deviation as an unexpected irregularity in language is the breaking of rules which writers or speakers normally obey. Stylistic deviation is a device frequently adopted by writers of literary works to attract the reader's attention, and to differentiate themselves from other writers. Deviation corresponds to the traditional idea of poetic license: the writer of literature is allowed in contrast to the everyday speaker to deviate from rules, maxims, or conventions. These may involve the language, as well as literary traditions or expectations set up by the text itself.

Cases of neologism, live metaphor, or ungrammatical sentences, as well as archaisms, paradox, and oxymoron (the traditional tropes) are clear examples of deviation. When an idea is presented in a way that is different from the expected way, then we say such a manner of carrying it out has deviated from the norm.

Poetry has been characterized as deviating from the norms of language. It frequently breaks the rules of language, but by doing so, it communicates with us in a fresh original way. The use of language in unusual context is what marks the literature. Poetry is an example of a more intense use of language. In other words, the association of meanings which language is familiar or conventionally used is not necessarily always to be found in poetry.

Analyzing the language of poetry, Levin (1965: 226) classifies deviation of language in two types: internal and external deviation. A kind of deviation

as a variation from "normal" usage (i.e., the type of deviation against some norm which lies outside the limits of the poem in which this deviation occurs) is called external deviation. Deviation internal to the given text as opposed to external (which takes place against the background of the poem, where the norm is the remainder of the poem in which this deviation occurs) is called internal deviation.

Style, as deviation from a norm, is a concept that is used traditionally in literary stylistics, regarding literary language as more deviant than nonliterary language use. This not only pertains to formal structures such as metrics and rhyme in poems but to unusual linguistic preferences in general, which an author's poetic license allows. Dylan Thomas's poetry, for example, is characterized by word combinations that are semantically incompatible at first sight and, thus, clearly deviate from what is perceived as normal. In the title of his poem "A grief ago", the word "grief" is semantically deviant (unusual, unexpected) as a result of its disappointing our expectations that a countable noun related to time (e.g., week) will occur in the syntactic frame "a... ago" ("grief" being in contrast, an uncountable noun of emotion). As a result of this deviation, the title of the poem is foregrounded and consequently, we should look for a significance that goes beyond surface-level understanding. Our interpretation might be to see the poem as involving the all-consuming nature of grief, to the extent that the grief we are talking about is so strong that it becomes the measure of time. We can consider it an example of external deviation, since we tend to think of external deviation as a variation from "normal" usage.

A good example of **internal (to the text) deviation** is the poetry of the American poet E. E. Cummings. The most striking aspect of deviation in much of Cummings's poetry is the use of lowercase (small) letters where we would normally expect capitals. This, though, is typical of Cummings's poetry and so it is difficult to attribute any great significance to it, other than a general desire to break with normal tradition. However, one of the effects of this deviation is to foreground examples where Cummings uses capital-

ization, such as in the line from poem “63”:

sing) for it's Spring (“63”, Cummings, 1964)

As a consequence of the internal deviation we can infer that *Spring* is an important concept in the poem, since “*Spring*” is the first word we come across with initial capitalization. The only other capital letters in the poem come in the final line, where the first letter of each word is a capital, thereby foregrounding propositional content of the poem’s last phrase:

With All The Policemen In The World (ibid.)

Deviation can occur at any linguistic level. Leech (1969) distinguishes eight types of deviation: lexical, grammatical, phonological, graphological, semantic, dialectal deviation, deviation of register and of historical period.

Being a common feature of poetic style, deviation can also be used in other genres and text-types. Thus in advertising, deviation is used for making impact and attracting people’s attention:

e.g. “Give a Timex to all, to all a good time.”
(Timex watch)

“Ex” being added to “Time”, the verb not only advertises how excellent the watch is, but also tries to demonstrate the excellence of accuracy at giving a correct time. According to market research, a plenty of ads use the affix of “ex” in their advertisement words, intending to imply the “excellence” of their products.

Conclusion

Deviation is an unexpected irregularity in language. (Jeffries & McIntyre, 2010: 32) It is the breaking of rules which writers or speakers normally obey. Deviation as a linguistic phenomenon has an important effect on the readers (and hearers), if a part of a poem is deviant it becomes especially, noticeable, or perceptually prominent (Short, 1969: 11). It has been found out that the writer uses a language deviated from the literary convention or everyday speech(norm). He uses different types of linguistic deviations to achieve his purposes.

Literature

1. Mukařovský J. (1964): Standard Language and Poetic Language, in Garvin, P. (ed.) A Prague School Reader on Esthetics, Literary Structure, and Style. Washington, DC: Georgetown University Press: 17-30
2. Levin S. R. (1965): Internal and External Deviation in Poetry, *Word*, 21: 225-239
3. Leech G. N. (1969): A Linguistic Guide to English Poetry. London: Longman
4. Leech G. N. & Short M. (1981): Style in Fiction: A Linguistic Introduction to English Fictional. 2nd edition. London: Pearson Education
5. Nowotny W. (1962): The Language Poets Use. London: The Athlone Press
6. Short M. (1969): Exploring the Language of Poems, Plays, and Prose. Edinburgh: Pearson Education Ltd.
7. Jeffries L. & McIntyre D. (2010): Stylistics. Cambridge University Press
8. Thomas D. (2003): Collected Poems. Ed. Walford Davies and Ralf Maud. London: Phoenix
9. Cummings E. E. (1964): 73 Poems. London: Faber and Faber

Стилистическое отклонение как непрогнозируемое несоответствие норме

Зоранян Марина Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

Резюме

Понятие лингвистического отклонения – девиации - восходит к русским формалистам. Оно широко используется в литературной стилистике.

Лингвистическая девиация – это одно из средств языка, с помощью которого достигается вынесение на передний план. Стилистическое отклонение как непрогнозируемое несоответствие норме является нарушением правил, которые писатели и говорящие обычно соблюдают. Стилистическая девиация – это художественный прием, используемый писателями в литературных произведениях для привлечения внимания читателей, это то, что отличает их от других писателей. Когда мысль представлена в отличной, необычной форме, то это считается отклонением от нормы. Такой вид отклонения, как вариация „нормального“ использования называется внешней девиацией. Внутреннее отклонение по отношению к данному тексту, противоположное внешнему, называется внутренней девиацией. Девиация может возникать на любом лингвистическом уровне. Лич различает восемь типов девиаций: лексическую, грамматическую, фонологическую, графологическую, семантическую, диалектическую девиацию, девиацию регистра и исторического периода.

Ключевые слова:

лингвистическая девиация, вынесение на передний план, внутренняя и внешняя девиация, лексическая девиация, грамматическая девиация, фонологическая девиация, семантическая девиация.

სტილისტური გადახრა როგორც ნორმის არაპროგნოზირებადი დარღვევა

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

ლინგვისტური დევიაციის ცნება შემოტანილია რუსი ფორმალისტების მიერ. იგი ფართოდ გამოიყენება ლიტერატურულ სტილისტიკაში. ლინგვისტური დევიაცია არის ენის ერთ-ერთი საშუალება, რომლის გამოყენებითაც მიიღწევა ობიექტის წინა პლანზე წამოწევა. დევიაცია არის იმ წესის მოულოდნელი დარღვევა, რომელსაც დამწერი ან მოლაპარაკე ჩვეულებრივად ემორჩილება. სტილისტური დევიაცია არის საშუალება, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების ავტორი იყენებს, რათა მიიზიდოს მკითხველის ყურადღება და რათა მისი ნაწერი გამოირჩეოდეს სხვების ნაწერებისაგან. როდესაც ახრი ისეთნაირადაა წარმოდგენილი, რომ იგი განსხვავდება მოსალოდნელისაგან, მაშინ ნაწერი (გამონათქვამი) არის “ნორმიდან” გადახრილი. ასეთი გადახრა არის გარეგანი. დევიაცია, რომელიც მოცემული ტექსტის “ნორმებიდან” გადახრას წარმოადგენს, არის შინაგანი დევიაცია. დევიაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ ლინგვისტურ დონეზე. ლიბი განსხვავებს რვა ტიპის დევიაციას: ლექსიკურ, გრამატიკულ, ფონოლოგიურ, გრაფოლოგიურ, სემანტიკურ, დიალექტიკურ, სტილისტურ დევიაციასა და ისტორიული პერიოდის დევიაციას.

საკვანძო სიტყვები:

ლინგვისტური გადახრა, წინა პლანზე წამოწევა, შინაგანი და გარეგანი გადახრა, ლექსიკური გადახრა, გრამატიკული გადახრა, ფონოლოგიური გადახრა, სემანტიკური გადახრა, დიალექტიკური გადახრა, ისტორიული პერიოდის გადახრა.

მთარგმნელი და თარგმნის პროცესის მონაწილეები

ია ჩიკვინიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია მთარგმნელისა და თარგმანის დამკვეთის ურთიერთმიმართება და ის სხვადასხვა სირთულე, რომელიც ორიგინალის ადრესატისათვის მიწოდების პროცესში აუცილებლად იჩენს თავს. სხვადასხვა კულტურის კომუნიკანტთა უშუალო მაკავშირებლის - მთარგმნელის მთავარი ამოცანაა ორიგინალის ტექსტში კოდირებული ინფორმაცია მის მესსიერებაში არსებულ ცოდნას დაუკავშიროს, ანუ იმ საბაზისო ცოდნას, რომელიც მისი ინტელექტის, ერუდიციისა და პროფესიონალიზმის ნაზავია.

საკვანძო სიტყვები:

ტექსტი, მთარგმნელი, დედანი, დამკვეთი, ადრესატი, კომუნიკანტი.

შესავალი

ორი ადამიანის კომუნიკაციისას, რომელთა შორის, როგორც წესი, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, საჭირო ხდება მთარგმნელის ჩარევა, პიროვნებისა, რომელიც კომუნიკანტთა ენას ფლობს. რით განისაზღვრება ასეთ შემთხვევაში მთარგმნელის ფუნქცია? მან ორიგინალი ტექსტის ავტორის მიერ ტექსტში ჩადებული კოდირებული შეტყობინება ახლებური სახით უნდა ჩამოაყალიბოს და ადრესატს ნათარგმნი ტექსტის საშუალებით გადასცეს. დამოკიდებულებას დედანსა და ნათარგმნი ტექსტს შორის კომუნიკაციური სიტუაციის სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. ხსენებულ ფაქტორთა შორის მოიაზრებენ კომუნიკაციის დროს, ადგილსა და საბაბს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა, უპირველესად, ორიგინალი ტექსტის ავტორს, დამკვეთს, თარგმნის ტექსტის ადრესატს და ბოლოს, რაღა თქმა უნდა, მთარგმნელს ენიჭება.

მთარგმნელი და თარგმნის პროცესის მონაწილეები

ძირითადი ნაწილი

ავტორი წარმოადგენს ორიგინალი ტექსტის შემქმნელს, რომლის ვინაობაც ცნობილია ან ანონიმურია. ტექსტის შემქმნის პროცესი, როგორც წესი, განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარე, ავტორი ტექსტს გარკვეულ ფუნქციას ანიჭებს, ვარაუდობს რა, რომ ადრესატი მეტ-ნაკლები სირთულით შეძლებს ტექსტის გაგებას.

დამკვეთი არის პიროვნება, რომლიდანაც მოდის ტექსტის თარგმანის შექმნის ინიციატივა. დამკვეთს, ისევე როგორც ორიგინალი ტექსტის ავტორს, გარკვეული მიზნები ამოძრავებს და ამიტომ ნათარგმნი ტექსტს განსაზღვრულ ფუნქციას ანიჭებს. ეს უკანასკნელი ადგენს, უნდა ჰქონდეს თუ არა ნათარგმნი ტექსტს ადრესატისთვის იგივე ფუნქცია, რაც ორიგინალ ტექსტს აქვს თავისი ადრესატისთვის, თუ ნათარგმნი ტექსტი სრულიად სხვა ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს.

ადრესატი – ნათარგმნი ტექსტის მკითხველი ან მსმენელი, (იგივე მომხმარებელი) დამკვეთთან შეიძლება იყოს გაიგივებული. რაც უფრო ახლოს იცნობს მთარგმნელი ნათარგმნი ტექსტის ადრესატს, მით უფრო უადვილდება მას მუშაობა. ამ შემთხვევაში მას საშუალება ეძლევა გაითვალისწინოს ადრესატის ასაკი, პროფესია, განათლების დონე, სოციალური მდგომარეობა და მისი დამოკიდებულება მშობლიურ ენას-

თან. სწორედ ზემოხაზოთვლილ ფაქტორებს ემყარება ადრესატის მოლოდინი სათარგმნი ტექსტისადმი. მაგ.: დამკვეთი ითხოვს საგადასახადო კოდექსის თარგმანს უცხოური ენიდან ქართულად და მოელოს, რომ მშობლიურ ენაზე შესრულებულ თარგმანში მისთვის ყველაფერი ცხადი იქნება, მაგრამ რადგან მას საგადასახადო სფეროში არც თუ ისე დიდი გამოცდილება აქვს, ის ხვდება, რომ უკვე ნათარგმნი ტექსტი მას არაფერში გამოადგება. ამიტომ იგი მთარგმნელს ორიგინალი ტექსტის ყოველდღიური სასაუბრო სტილით თარგმანს სთხოვს. ყოველდღიურ პრაქტიკაში, როდესაც მთარგმნელს საკმაოდ მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან უწევს ურთიერთობა, საკმაოდ რთულია ყოველი ადრესატის მიღმა არსებული სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, მთარგმნელი იძულებულია ადრესატის, ასე ვთქვათ, საშუალო განათლების დონე წარმოიდგინოს და მასზე აილოს ორიენტაცია.

მთარგმნელი - თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი არის, ერთი მხრივ, ორიგინალი ტექსტის რეალური ადრესატი და მეორე მხრივ, ნათარგმნი ტექსტის ავტორი. ისევე, როგორც ყველანაირი ქმედება, მთარგმნელის ქმედებაც ამ შემთხვევაში მიზანმიმართულია და სწორედ ეს განასხვავებს მას ჩვეულებრივი ორიგინალი ტექსტის ადრესატისა და დედნის ავტორისაგან. იგი ორიგინალს სათავისოდ, ინფორმაციის მისაღებად ან თავშესაქცევად კი არ ეცნობა, არამედ კორექტული თარგმნის მიზნით.

თავდაპირველად მთარგმნელი თავის წარმოსახვაში აყალიბებს სათარგმნი ტექსტის შესაძლო ადრესატს, ანუ ცდილობს წარმოიდგინოს, თუ აღქმა-გაგების რა წინაპირობები შეიძლება გააჩნდეს მას. თუ ადრესატი სხვა კულტურულ გარემოს მიეკუთვნება, მაშინ მისი გაგების უნარი სრულიად განსხვავებული იქნება, ვიდრე ორიგინალი ტექსტის ადრესატისა, ამიტომ მთარგმნელი

მოძიებას იწყებს სხვადასხვა ერთეულებიდან, როგორცაა მონაკვეთი, წინადადება, სიტყვა-კავშირი ან თავად სიტყვა და დიდ ყურადღებას უთმობს მათში ჩადებულ ინფორმაციას. შემდეგ კი ეს ინფორმაცია თარგმანის ტექსტში გადააქვს. წინადადებებისა და მონაკვეთებისაგან მიღებულ ენობრივ ერთეულთა მასას ის ერთ სრულქმნილ სხეულად, ახალ ნათარგმნ ტექსტად აყალიბებს.

ორიგინალის ტექსტი მთარგმნელის მთავარი საყრდენია. ამ შემთხვევაში ტექსტი გვევლინება ადრესატის მიერ არჩეული ენობრივი ნიშნის მატარებელ ერთეულად, რომელიც კომუნიკაციის აქტშია ჩართული და გარკვეული ინფორმაციის მატარებელია. ორიგინალის ტექსტი შეიძლება იყოს:

- გათვალისწინებული პოტენციურად იდენტური ადრესატისათვის, ანუ მოიაზრებდეს, ერთი მხრივ, ორიგინალის, ხოლო მეორე მხრივ, ადრესატის ინტერესებს (მაგ.: დარგობრივი ტექსტები);

- ორსახოვანი, რაც იმას გულისხმობს, რომ თავდაპირველად ის ორიგინალი ტექსტის მკითხველზეა მიმართული, მაგრამ პოტენციურად ითვალისწინებს თარგმნილი ტექსტის მკითხველთა ინტერესებს.

- ორიენტირებული მხოლოდ თარგმნილი ტექსტის მკითხველზე.

ორიგინალი ტექსტი მთარგმნელის საყრდენს და იმავდროულად შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს, რადგან მის გარეშე ვერ მოხდება თარგმანის შეფასება.

ნათარგმნი ტექსტი ორიგინალი ტექსტის დამუშავების შედეგად მიიღება. ის ტექსტის ავტორს ადრესატთან ურთიერთობის დამყარებაში ეხმარება, ადრესატთან, რომელსაც არ ესმის ტექსტის ავტორის ენა და სრულიად სხვა კულტურული გარემოს წარმომადგენელია. ნათარგმნი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც ადრესატს ზოგადად ტექსტის და, ამ შემთხვევაში, კონკრეტული ტექსტის მიმართ გააჩნია.

გერმანელი ენათმეცნიერი ჰონინგი ამტკიცებს, რომ ადამიანის მეხსიერება ინფორმაციის შემნახველი სისტემაა, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

- სისტემის პირველი ნაწილი ინფორმაციის ათვისებას უწყობს ხელს;
- მეორე ნაწილი უკვე ათვისებული ინფორმაციის შენახვას უზრუნველყოფს;
- მესამე კი ათვისებული და შენახული ინფორმაციის ხელახალ გამოძახებაში გვეხმარება.

ადამიანის მეხსიერების ეს სამი სისტემა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ათვისებული ინფორმაციის ცოდნად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ინფორმაციის გაგებისა და ათვისების პროცესი უაღრესად ინდივიდუალურია. ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში მშობლიური ენის ძირფესვიან ცოდნაზე (იქნება ეს ლექსიკური, გრამატიკული თუ სტილისტური თავისებურებანი), ასევე მოსაუბრესა და მსმენელზე, ჩვენ შემთხვევაში, ავტორსა და ადრესატზე. ხშირად ჩვენ მიერ ფორმულირებული მოსაზრება არ შეესაბამება იმას, რის თქმასაც სინამდვილეში ვაპირებთ, ამიტომ განმარტების მიცემა გვიხდება და ხანდახან გაცემა უნდა კი ვრჩებით მოსაუბრის გაურკვევლობით. არის შემთხვევები, როცა მოსაუბრე არაა დაინტერესებული, რომ სათქმელი გასაგები ენით გამოხატოს. პოლიტიკოსები თავიანთ გამოსვლებში, როგორც წესი, მაღალფარდოვან და ფართო მასებისთვის გაუგებარ ტერმინოლოგიებს მიმართავენ, რადგან მათთვის ამ შემთხვევაში საკუთარი განსწავლულობის წინა პლანზე წამოწევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სათქმელის გასაგებად ჩამოყალიბება.

უფრო იოლადაა საქმე მსმენელის ანუ ადრესატის შემთხვევაში. ის, რომ ამ უკანასკნელს შეთავაზებული ინფორმაციიდან ყველაფერი არ ესმის, ალბათ არავისთვის არაა გასაკვირი. ჰონინგი ამას

სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს. მისი აზრით, სულაც არაა აუცილებელი, რომ ადამიანმა ყველანაირი ინფორმაცია „მონიტორზე“ ანუ გონებაში აღბეჭდოს და შემდეგ გადაამუშაოს. ჰონინგის მოსაზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ადრესატისათვის მიცემულ ტექსტში ყველაფერი ცხადი არაა, ის ელემენტარულად ვერ მოახერხებს ყველაფრის სიტყვა-სიტყვით თარგმნას და არც არის საჭირო. მკითხველი ასეც იქცევა. კითხვის პროცესში იგი ტექსტში კოდირებულ ინფორმაციას მის მეხსიერებაში არსებულ ცოდნას უკავშირებს, ცოდნას, რომელიც მას ტექსტის წაკითხვამდე გააჩნია (ამ ცოდნას მეცნიერთა ერთი ჯგუფი ზოგად განათლებას, მეორე კი – ენციკლოპედიურ ცოდნას, ინტელექტსა და ერუდიციას უწოდებს) და ამგვარად, ახალ ინფორმაციას დებულობს, ანუ მას უნდა გააჩნდეს საბაზისო ცოდნა. იგივე შეიძლება ითქვას მთარგმნელზეც. კითხვისას იგი ცდილობს ამოცნოს ტექსტი, რომელიც ატარებს ინფორმაციას და შეძლებისდაგვარად ამუშავებს მას, იშველიებს რა აღქმის უნარს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მთარგმნელის კომპეტენციასა და ენის ცოდნასთან. იგი უღრმავდება სიტყვებს და მათ დამოკიდებულებას წინადადებებთან, ტექსტის სემანტიკებთან და საერთოდ ტექსტთან, შემდეგ კი ამ ყველაფერს აკავშირებს რეალობასთან, რომელიც გამოხატულია ტექსტში და რომლის მონაწილენიც არიან დედნისეული ტექსტის ავტორი და ნათარგმნი ტექსტის ადრესატი. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ხშირად მთარგმნელი დედნიდან უფრო ნაკლებ ინფორმაციას იღებს, ვიდრე ტექსტშია მოცემული, ვინაიდან მას ბევრი რამ თარგმნისას ახალი ტექსტისათვის უმნიშვნელოდ მიაჩნია. მაგრამ ხდება პირიქითაც, როცა ინფორმაციულობის თვალსაზრისით ნათარგმნი ტექსტი გაცილებით ტევალია, ვიდრე ორიგინალი. ამას პირველ

რიგში მთარგმნელის ერუდიცია განაპირობებს. არის კიდევ ერთი ფაქტორი, როდესაც მთარგმნელის მიერ ტექსტის გაგების პროცესი ჩვეულებრივი მკითხველის მიერ აღქმული ტექსტისაგან განსხვავდება. თუ ჩვეულებრივი მკითხველი ტექსტს კითხულობს, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ მთარგმნელის მიერ აგებული ტექსტი ადრესატისაგან კონტროლდება, ანუ, თუ მთარგმნელი ორიგინალის ტექსტს არასწორად გაიგებს, ეს, პირველ რიგში, თვალში მოსახვედრი იქნება მკითხველისათვის და არასწორ გეზს მისცემს მას შემდგომ მუშაობაში.

როცა ვსაუბრობთ დედნისეული ტექსტის გაგებაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ინტუიციის გრძნობა, რომელსაც მეცნიერები ცნობიერების არაკონტროლირებად ნაწილს უწოდებენ და რომელიც მკითხველს გაგების პროცესში არანაკლებ ეხმარება. თუმცა ეს ინტუიცია, ისევე როგორც გაგების სხვა წინაპირობები, ყველა ადამიანში ინდივიდუალურია. ასეთი ინტუიციური ცოდნა ტექსტზე მომუშავე მთარგმნელს საშუალებას აძლევს საკუთარი ფანტაზიის დახმარებით მიუახლოვდეს ტექსტში ასახულ რეალობას. ამ გზით მთარგმნელი ინარჩუნებს ტექსტის მთლიანობას და თავს არიდებს მის დაშლადანაწევრებას.

დასკვნა

მთარგმნელი არის სპეციალისტი, რომელიც ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს იმისათვის, რომ გაიგოს ორიგინალის ენაზე შექმნილი ტექსტი და ეს უკანასკნელი, დამკვეთის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თარგმანის ენაზე გადაიტანოს. გარკვეულწილად მთარგმნელი ტექსტის ავტორადაც გვევლინება, მხოლოდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტექსტი დამკვეთის კომუნიკაციურ მიზნებს ემსახურება და არა რაიმე სხვა დანიშნულებას. მთარგმნელის უშუალო მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად ღრმად

ჩაწვდეს ორიგინალის ტექსტით გადმოცემულ ავტორისეულ ჩანაფიქრს (განზრახვას) და მის მიერ თარგმანის ენაზე შექმნილმა ტექსტმა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ადრესატთა მოთხოვნა, მან თავი იმ კომუნიკაციური აქტის მონაწილედ უნდა წარმოიგინოს, რომლისთვისაც ტექსტის თარგმანს ასრულებს.

ლიტერატურა

1. Marc de Lounay (2006): Qu'est-ce que traduire? Librairie Phyllosophique. Paris
2. P. Bouillon, A. Clas (1993): La traductique. Quebec-Montreal. P.281
3. Ulrich kautz. Handbuch Didaktik des Uberserzens und Dolmetschens. B.

Translator and the Participants of Translation Process

Chikvinidze Ia

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

Kostava av.77, 0175, Tbilis, Georgia

Tel. : 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Abstract

The article discusses the relationship between the translator and the person by whom the translation was ordered . It also discusses different hardships generally occurring in the process of presenting the original to the addressee. Every translator - being a firsthand connector between the communicants of different cultures - has to solve the problem of connecting the coded information of the original text

to the knowledge stored in his/her memory, as this knowledge is the mixture of his/her intellect, erudition and professionalism.

Keywords:

text, translator, original, addressee, communicant.

Переводчик и участники переводческого процесса

Чиквинидзе Ия Гиглаевна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Резюме

В статье показаны взаимоотношения переводчика и заказчика перевода и те трудности, которые всегда обнаруживаются в процессе передачи информации оригинала адресату перевода. Главной задачей переводчика – непосредственного связного коммуникантов разных культур, является связать кодированную информацию текста оригинала со своим умственным потенциалом, с теми базисными знаниями, которая является смесью его интеллекта, эрудиции и профессионализма.

Ключевые слова:

текст, переводчик, оригинал, заказчик, адресат, коммуникант.

ა. დე ტოკვილი ამერიკის დემოკრატიული წყობის არსებითი ნიშნების შესახებ

დოდო ლაბუჩიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ
მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი
ჟ. ბაგრატიონის ქ. №6, თბილისი,
საქართველო
ტელ: 591 605 948
E-mail: dodolaboutchidze@yafoo.fr;
dodolaboutchidze@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში განხილულ საკითხთა სპექტრი ეყრდნობა შედარებითი სოციოლოგიის კლასიკოსის, ფრანგული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ალექსის დე ტოკვილის მიერ დემოკრატიული წესრიგის არსებითი ნიშნების გააზრებას. ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ ტოკვილი სიღრმისეულად მსჯელობს არა მარტო ამერიკული დემოკრატიის თავისებურებებზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოებების იმ ზოგადი ნიშანთვისებების შესახებ, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინტელექტუალთა საგანგებო ინტერესი გამოიწვია და დღემდე არ დაუკარგავს შემეცნებითი ღირებულება.

საკვანძო სიტყვები:

დემოკრატია, მმართველობის დეცენტრალიზაცია, ინოვაცია, საკანონმდებლო სისტემა, სასამართლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება, სოციალური წყობა.

შესავალი

ალექსის შარლ ანრი კლერელ დე ტოკვილი (1805-1859) ძირძველ ფრანგ დიდგვარო-

ვანთა წარმომადგენელი იყო: მამის მხრიდან, იგი მეფე ლუი წმინდას ჩამომავალი იყო, დედის მხრიდან ენათესავებოდა მალბრანშს და შატობრიანს. ტოკვილმა კარგი ჰუმანიტარული განათლება მიიღო; მან დაამთავრა ქ. მეცის სამეფო კოლეჯი, შემდეგ სწავლა განაგრძო პარიზში სამართლისმცოდნეობის შესასწავლად. მასზე განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა შარლ ლუი მონტესკიეს პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. ტოკვილი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საპარლამენტო და საკანონმდებლო საქმიანობაში: იგი იყო 1848 წლის საფრანგეთის კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრი, იცავდა მმართველობის დეცენტრალიზაციისა და საყოველთაო არჩევნების პრინციპებს. 1849 წელს აირჩიეს საკანონმდებლო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად, 1849 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. 1852 წელს ნაპოლეონ III-ის მიერ იმპერიის აღდგენის შემდეგ მისდამი ოპოზიციურად განწყობილმა ტოკვილმა პარიზი დატოვა და ტოკვილების საგვარეულო ციხე-სიმაგრეს დაუბრუნდა.

ტოკვილს ცხოვრება და მოღვაწეობა საფრანგეთის ისტორიაში ერთ-ერთ ურთულეს ეპოქაში მოუხდა. XIX საუკუნის პირველი ნახევარი – ეს იყო წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი, როდესაც ძველი არისტოკრატიული საზოგადოების ნანგრევებზე დემოკრატიული წყობა ისახებოდა. ტოკვილმა, ბუნებით საღად მოაზროვნე პიროვნებამ, ნათლად გააცნობიერა ის, რომ XVIII-XIX საუკუნეებში ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი სავსებით განსხვავებული მოვლენებიც კი დემოკრატიის სასარგებლოდ შეტრიალდა, რომ სრულიად ახალ სამყაროს ახალი პოლიტიკური ცოდნა ესაჭიროებოდა. იგი გაემგზავრა ამერიკაში, საგანგებოდ შეისწავლა ამ ქვეყნის მმართველობა და ამერიკუ-

ლი საზოგადოების შესწავლის კვალობაზე დაებადა იდეა დაეწერა წიგნი „დემოკრატია ამერიკაში“ (1835, ტ. I; 1840, ტ. II), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად: 1838 წელს ტოკვილი აირჩიეს საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ხოლო 1841 წელს საფრანგეთის აკადემიის წევრად. ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ სტიუარტ მილმა ნაშრომი კლასიკურ ნაწარმოებად აღიარა; გერმანელმა ფილოსოფოსმა ვილჰელმ დილთაიმ კი ტოკვილი პოლიტიკური სამყაროს ყველაზე დიდ ანალიტიკოსად მიიჩნია არისტოტელესა და მაკიაველის შემდეგ.

ძირითადი ნაწილი

ტოკვილის მიზანი არ არის ამერიკის მაღივებელი პანეგერიკის შექმნა. ავტორის საგანგებო რეფლექსიის საგანია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დემოკრატიის უმთავრესი ღირებულებების გარანტიას წარმოადგენენ. ამერიკაში იგი ეძიებს დემოკრატიის ხატს, გვიჩვენებს იმ გაგლენას, რომელსაც ადამიანთა სოციალური მდგომარეობის თანასწორობა და დემოკრატიის ბატონობა ახდენს ამერიკის საზოგადოებაზე, მის იდეებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ტოკვილი წერს: „ვადიარებ, რომ ამერიკაში მე ვხედავდი არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მასში ვეძებდი თვით დემოკრატიის ხატს, დემოკრატიას ნაზიარები ხალხის რწმენას და ვნებებს. მსურდა, ჩაეწვდომოდი მის სიღრმეს, რათა გამეგო, თუ რა სასიკეთოს შეიძლება ველოდოთ მისგან, ან რისი შიში უნდა გვექონდეს“ (1. 186).

ნაშრომში ტოკვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით ამერიკაში რევოლუცია წარიმართა წესრიგისა და კანონებისადმი მოკრძალებისა და სიყვარულის ნიშნით, „ამერიკაში დემოკრატიის პრინციპები განვითარდა თა-

ვისუფლების წიადში და ზნე-ჩვეულებებთან თანხმობით უმტკივნეულოდ განხორციელდა კანონებში“ (1. 64). ამერიკის სამართლებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ტოკვილის რეფლექსია ეფუძნება ყველაზე სარწმუნო და ავტორიტეტულ შრომებს, განსაკუთრებით ხშირად იმწმებს „ფედერალისტურ წერილებს“. იგი წერს: „ჯონ ჯეიმ, ჰამილტონმა და მედისონმა, ერთობლივად იღვაწეს, რათა ხალხისათვის განემარტათ მათ მიერ წარდგენილი კანონპროექტის ყველა უპირატესობა. ამ მიზნით მათ ჟურნალში გამოაქვეყნეს რიგი სტატიებისა, რომელთა ერთობლიობა ქმნის ერთ დასრულებულ ტრაქტატს [...] „ფედერალისტი“ მშვენიერი წიგნია. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამერიკას ეხება, ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოხელემ კარგად უნდა შეისწავლოს იგი“ (1. 23).

ამერიკელ კანონმდებელთა მმართველობითი სიბრძნისა და მათ მიერ მოწინავე თეორიების დამკვიდრების დასტურად, ავტორი ასახელებს ამერიკის კონსტიტუციას, სახელმწიფოს უპირველეს კანონს, რომელიც ისევე ბატონობს კანონმდებლებზე, როგორც რიგით მოქალაქეებზე; „მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც კანონი იყოს ისე უზენაესი და ძალმოსილი, როგორც ეს ამერიკაშია [...] „ამერიკაში ერთი ადამიანი არა მეორე ადამიანს, არამედ სამართალს, კანონს მორჩილებს“ (1. 81). ამერიკის კონსტიტუცია ეფუძნება მონტესკიეს მიერ შემუშავებულ ხელისუფლებათა [საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო] განაწილების პრინციპს, თუმცა ინოვაცია არის ის, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მინდობილი აქვს ორ ასამბლევას: სენატს და წარმომადგენლობით პალატას. საკანონმდებლო ხელისუფლების გაყოფას ტოკვილი მიიჩნევს პირველი რიგის აუცილებლობად, რომელიც ამერიკელებს დაუდასტურა დრომ და გამოცდილებამ. ეს ინოვაციური პრინციპი, თითქმის არაღიარებული

ანტიკურ რესპუბლიკებში და თანამედროვე ხალხთაგანაც მრავლის მიერ არცნობილი, ამჟამად აქსიომად არის მიჩნეული პოლიტიკურ მეცნიერებაში.

ამერიკის საკანონმდებლო სისტემის შესწავლის შემდეგ, ტოკვილი განიხილავს სასამართლო ხელისუფლებას და აღნიშნავს, რომ ამერიკელ მოსამართლეებსა და სხვა ხალხთა მოსამართლეებს სავსებით მსგავსი უფლებამოსილება აქვთ, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ისინი აღჭურვილი არიან უდიდესი პოლიტიკური ძალაუფლებით. საიდან იღებს ეს დასაბამს? რატომ არ გააჩნიათ იგი მათ კოლეგებს სხვა ქვეყნებში? კითხულობს ტოკვილი და თავადვე დასძენს: „ამის მიზეზია ერთი ფაქტი: ამერიკელებმა თავიანთ მოსამართლეებს მიანიჭეს უფლება განაჩენი დაეფუძნებინათ უმაღლესი კონსტიტუციაზე და არა კანონებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებლებმა მოსამართლეებს ნება დართეს სასამართლო პროცესებში ეხელმძღვანელათ მხოლოდ ისეთი კანონებით, რომლებიც, მათი აზრით, არ შეეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას“ (1. 85). ტოკვილის მიხედვით, ამერიკაში ასეთი სამართალი ხელისუფლების ყველა შტოს მიერ არის აღიარებული, ვერ ნახავთ ვერც ერთ ადამიანს, ან პარტიას, რომელიც საკამათოდ გახდიდა ამ უფლებას. მისი აზრით, ამის სათავე უნდა ვეძიოთ თავად ამერიკის კონსტიტუციის პრინციპებში. „შეერთებული შტატების კონსტიტუცია ჰგავს ადამიანის გამჭრიახობის დამადასტურებელ იმ მშვენიერ ქმნილებებს, თავად მათ გამომგონებლებს დიდებითა და სიმდიდრით რომ მოსავს, მაგრამ სხვათა ხელში უნაყოფო რჩება“ (1. 133). უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეები მორჩილებენ კონსტიტუციას; ეს სავსებით შეესაბამება თავად სასამართლო ხელისუფლების არსს, რადგან ყოველი მოსამართლისათვის ნიშანდობლივი უფლება არის ნორმატიულ აქტთა შორის ისეთთა შერჩევა, რომლებიც

ყველაზე მეტად ესადაგება სასამართლო ხელისუფლების არსს. ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ისეთ თავისუფალ ხალხში როგორც ამერიკელები არიან, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ჩვეულებრივ სასამართლოში აღძრას საქმე სახელმწიფო მოხელეთა წინააღმდეგ და ყველა მოსამართლე უფლებამოსილია გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი ამ მოხელეთა მიმართ. კანონის დარღვევისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა დასჯის უფლების მინიჭება სასამართლოებისათვის, ტოკვილის თანახმად, „არ არის ამ ორგანოთა განსაკუთრებული პრეროგატივა; ეს ბუნებრივი უფლებაა და მათთვის მისი ჩამორთმევა ბუნებრივი უფლების წართმევად უნდა განვიხილოთ“ (1. 88).

ტოკვილი იზიარებს მონტესკიესა და რუსოს აზრს, რომ ქვეყანაში მოქალაქეთა თავისუფლება და უსაფრთხოება, ძირითადად, სისხლის სამართლის კანონთა ვარგისიანობაზეა დამოკიდებული; რომ ნებისმიერი ფენის დამნაშავენი საფრთხეს უქმნიან მოქალაქეებს და ხელს უშლიან მათ თავისუფლებას. თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში დანაშაული იშვიათად რჩება დაუსჯელი; ყველა დაინტერესებულია დროულად წარადგინოს სამართლის დარღვევის სამხილები, რათა დამნაშავე დაიჭირონ. ამ მხრივ ევროპაში განსხვავებული ვითარებაა: იქ ბოროტმოქმედი მიაჩნიათ მხოლოდ იმ ბედკრულ ადამიანად, რომელიც იბრძვის, რათა დაემალოს ძალაუფლების წარმომადგენლებს. ამერიკაში კი ბოროტმოქმედი აღიქმება ადამიანური მოდგმის მტრად, რომლის წინააღმდეგაც საზოგადოება უნდა ამხედრდეს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საუბრისას ტოკვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამერიკული კონფედერაცია ყველა სხვა კონფედერაციის მსგავსია, მაგრამ შედეგებით აშკარად სხვაობს ყველა სხვა დანარჩენთაგან. ტოკვილის მიხედვით,

ეს განპირობებულია თავად ამერიკის ფედერალური კონსტიტუციით, რადგან ეფუძნება „სრულიად ახალ თეორიას, რომელიც ჩვენი დროის პოლიტიკის მეცნიერების დიად მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს“ (1. 127). იგულისხმება ამერიკელთა ინოვაცია – პოლიტიკური სუვერენიტეტის პორიზონტალური დანაწევრება ფედერალურ ხელისუფლებასა და შტატის ხელისუფლებას შორის. მართალია, ადგილობრივი ინსტიტუტები ყველა ხალხისათვის საჭიროა, მაგრამ ტოკვილის აზრით, ყველაზე მეტად ისინი სჭირდება დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელსაც „ადგილობრივი ინსტიტუტების გარეშე არავითარი გარანტია არ გააჩნია იმგვარი ბოროტებისაგან თავის დასაღწევად“ (1. 82), როგორც არის დესპოტიზმი. მიაჩნია, რომ, საერთოდ, ყველაზე ძნელად მისაღწევი არის სათემო თავისუფლება, ვინაიდან ის ერთგვარი თავისთავადობით წარმოიქმნება, მისი განმტკიცება კი ხდება მხოლოდ კანონთა და ზნე-ჩვეულებათა შეუნელებელი ქმედების წყალობით. „შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ხალხთაგან არც ერთმა არ იცის, რა არის სათემო თავისუფლება [...] კანონებში ჩანს დასაბამი და განვითარება იმ სათემო დამოუკიდებლობისა, რომელიც გვევლინება ამერიკელი თავისუფლების პრინციპად და ცხოვრების წესად“ (1. 57).

ტოკვილი აღფრთოვანებულია მმართველობის დეცენტრალიზაციის არა ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური შედეგებით. მმართველობის დეცენტრალიზაციამ ამერიკაში მიაღწია ისეთ დონეს, რომელსაც, მისი აზრით, ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ვერ გაუძღვებდა. ამერიკაში მაღალ დონეზეა მთავრობის ცენტრალიზაცია, ეროვნული ძალა აქ უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე ევროპის რომელიმე ძველ მონარქიაში. სამაგიეროდ, საერთოდ არ არსებობს ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია. „შევრთებული შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში არაფერია არც ცენტრალიზებული და არც იერარქიული“ (1. 65).

ამერიკაში ადმინისტრაციული საქმიანობა თავმოყრილია სამ სამოქმედო კერაში: პირველ საფეხურზეა კომუნა, შემდეგ ოლქი, ბოლოს კი შტატი. კომუნა ყოველმხრივ სუვერენულია იმაში, რაც მხოლოდ მას ეხება; გუბერნატორი, შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, არ მონაწილეობს კომუნებისა და ოლქების მართვა-გამგებლობაში, ან, უმაღლეს, მონაწილეობს ძალზე ირიბად; ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰყავს მოხელე, რომელიც მუდმივად ითანამშრომლებდა ოლქისა და კომუნის მმართველებთან, გაუწევდა ზედამხედველობას და წარმართავდა მათ საქმიანობას, ან დასჯიდა შეცდომებისათვის. ოლქებისა და კომუნების (მათი გამგებლებითა და მოხელეებით) დაახლოებით ერთნაირად მართვა ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე: კანონი ადგენს ძირითად პრინციპებს, მათი განხორციელების საშუალებებს, აკისრებს ქვემდგომ სახელისუფლო ორგანოებს და მათ მოხელეებს უამრავ პატარ-პატარა და მკაცრად განსაზღვრულ მოვალეობას. აქედან გამომდინარე: „თუ ყველა ქვემდგომი ორგანო და მოხელე კანონის შესაბამისად იმოქმედებს, ყველა დარგში საზოგადოების მართვა ერთგვაროვანი იქნება. [...] არ არსებობს არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ადამიანები იხედნენ ამდენ ძალისხმევას“ (1. 66). ტოკვილი გაცხადებს ვერ მალავს იმის გამო, თუ რა საოცარი ოსტატობით ზრუნავენ ძალაუფლების დაქუცმაცებაზე კომუნაში, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააინტერესონ საზოგადოებრივი საქმეებით. შესაბამისად, ისიც იმსჯვალება თავისუფლების სულისკვეთებით, სწავლობს წესრიგის სიყვარულს, სწვდება ძალაუფლების ჰარმონიას; დაბოლოს, უმუშავდება ნათელი და პრაქტიკული შეხედულებები საკუთარ მოვალეო-

ბათა და თავისი უფლებების მოცულობის შესახებ. ამგვარი რეფლექსიების შემდეგ ავტორი შეჯამების სახით წერს, რომ სახელმწიფო მოხელეს ევროპელი ხშირად მხოლოდ ძალად მიიჩნევს, ამერიკელი კი მასში სამართალს, უფლების გამოვლენას ხედავს. საზოგადოებას აქვს ორი საშუალება, რითაც აიძულებს თანამდებობის პირებს კანონთა მორჩილებას: მიანიჭოს შეუზღუდავი ძალაუფლება სხვა დანარჩენთა სამართავად და ამ უკანასკნელთა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ჩამოართვას თანამდებობები, ან სასამართლოებს დაავალოს, გამოიყენონ დადგენილი სასჯელი კანონთა დამრღვევის მიმართ.

დასკვნა.

ამერიკის დემოკრატიული წყობის არსებითი ნიშნების ანალიზით ა. დე ტოკვილი გვიჩვენებს იმ გავლენას, რასაც დემოკრატიის ბატონობა ახდენს ამერიკის საზოგადოებაზე, მის იდეებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ხელმძღვანელობს რა შედარებითი მეთოდის პრინციპით (ერთი მხრივ, არისტოკრატიული საფრანგეთი და ინგლისი, მეორე მხრივ, ამერიკა), მისთვის ნათელია: ამერიკელთა სოციალური წყობის დემოკრატიულმა ხასიათმა ბუნებრივად განაპირობა გარკვეული კანონების შექმნა და პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება. მეტიც, მანვე წარმოქმნა ევროპის ძველი არისტოკრატიული საზოგადოებებისათვის უცნობი მრავალი გრძნობა და წარმოდგენა, შეცვალა ან საერთოდ მოსპო ადამიანთა ოდინდელი ურთიერთობები და მათ ნაცვლად ახლები წარმოქმნა. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ სამყაროზე არანაკლებ შეიცვალა სამოქალაქო საზოგადოების სახე. ტოკვილის ნაშრომის „დემოკრატია ამერიკაში“ უდავო ღირსებას შეადგენს ის, რომ მასში ავტორი იძლევა სოციალურ-პოლიტიკური

პრობლემების ღრმა გააზრებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა დემოკრატიის ზოგადი თეორიისა და თანამედროვე ლიბერალურ-პოლიტიკური ფილოსოფიის ფორმირებაზე, კლასიკურ ნაშრომად იქცა შედარებითი სოციოლოგიის დარგში და დღემდე არ დაუკარგავს შემეცნებითი მნიშვნელობა.

ლიტერატურა :

1. ტოკვილი ა. დე (2011): *დემოკრატია ამერიკაში*. ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ. თბილისი
2. Alexis de Tocqueville. *Souvenirs*. Gallimard. Paris
3. Dictionnaire de philosophie. (2001): Larousse

А. де Токвиль об основных чертах американского демократического строя

Лабучидзе Додо Акакиевна
Университет им. Гр. Робакидзе
Институт философии и социальных наук
ул. Дж. Багратиони №6, Тбилиси, Грузия.
Тел. 891 605 948
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr
dodolaboutchidze@mail.ru

Резюме

В статье спектр вопросов об основных чертах демократического строя рассмотрен на основе рефлексий А. де Токвиля, классика сравнительной социологии и виднейшего представителя французской политической философии. В книге «Демократия в Америке» он рассматривает не только особенности американской демократии, но и общие черты демократических обществ. Идеи Токвиля вызвали особый интерес инте-

лектуалов второй половины XIX века и по сей день не утратили свою ценность.

Ключевые слова:

Демократия, децентрализация власти, инновация, законодательная система, судебная власть, исполнительная власть, социальный строй.

A.de Tocqueville on the Essential Features of the Democratic Order in America

Dodo Labuchidze

Grigol Robakidze State University

Institute Of Philosophy and Social Sciences

6, St. of J. Bagrationi, Tbilisi Georgia

Mobile number: 891.605.948

E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr

dodolaboutchidze@mail.ru

Abstract

In this article a range of issues is based on understanding of the essential features of the democratic order of Alexis de Tocqueville a classic of comparative sociology, one of the outstanding representatives of French political philosophy. In his work „*Democracy in America*“, Tocqueville comprehensively reviews not only of the characteristics of American democracy, but general characteristics of democratic societies, which caused the extraordinary interest among intellectuals in the second half of the XIX century and still have not lost their cognitive value.

Keywords:

Democracy, government decentralization, innovation, legislative system, judicial branch, executive branch, social system.

საგაზეთო ენა და მისი როლი ეროვნული ენის ჩამოყალიბებაში

თინათინ მოსემგვდლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქართულ ფილოლოგიისა და მედია
ტექნოლოგიების დეპარტამენტი
კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო,
ტელ: 599 988 814
E-mail: tikomosemgvdlshvili@gmail.com

რეზიუმე

სტატიის მიზანია გვაჩვენოს მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა როლი ეროვნული ენის ჩამოყალიბებაში. რუსული ენის ინგლისურით ჩანაცვლებამ მეტი საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას. სტატიაში განხილულია ის პრობლემა, რაც მხოლოდ უცხოური სიტყვების პირდაპირი გადმოტანა კი არა, არამედ ქართულისათვის არადამახასიათებელი ინტონაციის, სინტაქსის და წინადადების წყობის დამკვიდრებაა.

საკვანძო სიტყვები:

ეროვნული ენა, ნეოლოგიზმები, პუბლიცისტიკა, ინფორმაციულ-ანალიტიკური.

შესავალი

პრესა, როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალება, უმთავრეს როლს ასრულებს ერთიანი ეროვნული ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად კარგად ფლობენ მშობლიურ ენას ჟურნალისტები, რამდენად იცავენ ენის სიწმინდეს.

რუსული ენის ინგლისურით ჩანაცვლებამ არანაკლები საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას. ძირითადი პრობლემები, რაც წლების განმავლობაში ქართული ენისათვის რუსულიდან შემოსულ ბარბარიზმებს უკავშირდებოდა, დღეს იმავე სახით ინგლისურ

ენასთან არის დაკავშირებული. პრობლემას წარმოადგებს არა მხოლოდ სიტყვების პირდაპირი გადმოტანა, არამედ ისიც, რომ ქართულისათვის არაა დამახასიათებელი ინტონაციის, სინტაქსის და წინადადების წყობა, რომელიც მკვიდრდება.

განუზომელია მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა როლი ეროვნული ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათი მეშვეობით ხდება, ერთი მხრივ, ენობრივ ფორმათა და მეორე მხრივ, ენათმეცნიერულ შეხედულებათა პოპულარიზება.

პრესა, რადიო, ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ვერბალური საშუალებაა, საინფორმაციო დანიშნულებას ვერბალურად ახორციელებს, წარმოადგენს სალიტერატურო ენის ყოველდღიურ სარბიელს, სადაც ჩანს ენის ცვლილების ცოცხალი პროცესი [სალინიძე, 2011].

ძირითადი ნაწილი:

მასმედიის ენას ინტენსიურად სწავლობენ თანამედროვე მსოფლიოში. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ფართოდ უღებენ კარს ყოველგვარ ინოვაციას ენაში, ხელს უწყობენ ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის დამკვიდრება – გავრცელებას საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით პრესის შესახებ ითქმის. პრესაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ენის განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. ჟურნალ-გაზეთების ენა დღეს გამოირჩევა ფორმათა სიჭრელით, ნეოლოგიზმებით, ტერმინოლოგიის შერჩევის ახალი პრინციპებით. პრესა უადრესად ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი და ამიტომაცაა სპეციფიკური მისი ენა.

საგაზეთო კომუნიკაცია თავისებურია – კომუნიკაციის წევრებს შორის კავში-

რი არ არის უშუალო. შეიძლება ითქვას, ცალმხრივიც კი არის; ინფორმაციის გამცემაში აქტიურია, მიმღები, მკითხველი კი - პასიური. თუმცა, რადგანაც პრესა მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროს განეკუთვნება, ანუ მასობრივი მომხმარებლისთვისაა გამიზნული, იგი სავაჭრო ღირებულების მქონეცაა.

უდიდესი როლი ითამაშა სალიტერატურო ენის განვითარებაში ქართულმა პერიოდიკამ, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება. ჟურნალ „ცისკარში“ ცხარე დისკუსიები გაიმართა ენის საკითხებთან დაკავშირებით. საინტერესოა ილია ჭავჭავაძის შექმნილ ბეჭდვით ორგანოებში - „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ მოღვაწე ავტორთა, განსაკუთრებით - ილიასა და აკაკის შეხედულებები; XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში გამოდიოდა უამრავი დასახელების სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის გაზეთი: „ფონი“, „ცისკარი“, „განთიადი“, „ფარი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „ცისფერყანწელები“ და სხვა. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ჟურნალ-გაზეთების ენა გამოირჩევა ფორმათა სიჭრელით, ნეოლოგიზმებით, ტერმინოლოგიის შემუშავების მთავარი პრინციპის ძიებით, პოლემიკით ორთოგრაფიული, სინტაქსური, სტილისტური თუ სხვა სახის მასალის ირგვლივ.

დღეს მწვავედ დგას მშობლიური ენის საკითხები, თუმცა, ინტერესი მათი მოგვარებისა შენელებულია. სახელმწიფო ენის დამცველი ოფიციალური ორგანოები თითქმის აღარ არსებობს. მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა როლი, მისია გაასკეცებული უნდა იყოს. ფაქტობრივად, მხოლოდ რამდენიმე პერიოდული გამოცემა, რადიო

და ტელევიზია თუ ახერხებს დაუთმოს ადგილი ქართული ენის სიწმინდის დაცვას, ენობრივ პრობლემებს.

ქართველ ჟურნალისტებს ხშირად აკრიტიკებენ ენათმეცნიერები. მეტიც, ისინი ამბობენ, რომ თანამედროვე ქართული მედიის ენა არაბუნებრივია, გაუმართავი და ღარიბი და რაც დრო გადის, ის სულ უფრო შორდება ბუნებრივ ქართულს.

ხშირად გრამატიკული და სტილისტური შეცდომები გამეორებით ისმის პრესაში, რის შედეგადაც ის ეროვნულ ენაშიც გადადის და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ნორმა ხდება.

საგაზეთო ენის სპეციფიკას გარკვეულწილად განსაზღვრავენ ის ფუნქციები, რომლებსაც გაზეთი კომუნიკაციის პროცესში ასრულებს. გაზეთის ფუნქციების შესახებ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გ. კვარაცხელია წიგნში «ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა» საგაზეთო კომუნიკაციის სამ ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას [კვარაცხელია. 1990].

მსოფლიო მედიისა და ჟურნალისტიკის მკვლევარები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ასახელებენ თავშესაქცევი ფუნქციის შემოტანას, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცნობების და განხილვების ნაცვლად. ამის ნათელი მაგალითი არის გაზეთებში, ე. წ., ბულვარული პრესის წარმოუდგენელი მოზღვავება. გამონაკლისი არც ქართული პრესაა. ქართული პუბლიცისტიკის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას, ჩემი აზრით, სწორედ მოზღვავებული ბულვარული პრესა წარმოადგენს, რომელიც მაღალი ხარისხის, ანალიტიკურ, ინფორმაციულ სტატიებს ანაცვლებს მდარე ტიპის ტექსტებით, ისინი თემატურად მეტად მწირია და ხშირად დაუზუსტებელ ინფორმაციას ეყრდნობა.

დასკვნა

ქართული პუბლიცისტიკის განვითარებისა და მისი ტრადიციის შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანესია, ხელი შეეწყოს, ე. წ., ავტორიტეტული ტიპის გაზეთების არსებობას, რომლითაც უურნალისტური ეთიკისა და ნორმების დაცვით, მოხდება საზოგადოების ინფორმირება. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ თემატურ მრავალფეროვნებაზე. საქართველოში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური პროცესები უკავშირდება მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. გლობალიზაციის ასეთ პირობებში საჭირო და აუცილებელია ოქროს შუალედის დაცვა უცხოეთიდან შემოსული და ეროვნულ-ტრადიციული თემების გაშუქებაში.

ლიტერატურა

1. ტაბიძე ნ. (2011): პუბლიცისტიკის საკითხები. „უნივერსალი“. თბილისი
2. ბრეგაძე კ. (2008): იოჰან გოტფრიდ ჰერდერის ენის ფილოსოფია როგორც ენის ენერგეტიკული თეორია. ენათმეცნიერების საკითხები I, (3661). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISSN 15120473
3. მახარაძე გ. (2011): ვილჰელმ ჰუმბოლდტი ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი <http://presa.ge/new/?m=society&AID=4246>
4. კვარაცხელია გ. (1990): ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი
5. ცხადაძე ე. (2010): თანამედროვე პუბლიცისტიკური ჟანრების კვლადაკვალ. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ურნალ “მოამბის” დამატება / საქა-

რთველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. ISSN: 1512102X. N1(16). გვ. 164-166

6. სალინიძე რ. (2013): „პრესაში სარკესავით აირეკლება ენის განვითარების რთული გზა“ <http://www.psnews.ge/php/newsPrint.php?lang=geo&t=26&uid=908>

7. გოგოლაშვილი თ. (2007): სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში (ბრიტანული და ქართული პრესის მასალაზე). სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი

Language of Press and its Role in the National Language Formation

Tinatin Mosemgvdlishvili

Georgian Technical University

Department of Georgian Philology and Media Technology

77 Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel: 599 988 814

E-mail: tikomosemgvdlishvili@gmail.com

Abstract

The purpose of article is to show the role of the mass media in shaping of national language. The replacement of Russian-language words by English created large danger for the Georgian language. In the article the problem of introduction into the language of foreign words is examined, also not distinctive for the Georgian language intonation, the syntax and the order of words in the proposal.

Keywords:

national language, neologisms, journalism, information- analytical.

Язык прессы и его роль в формировании национального языка

Мосемгвдлишвили Тинатин Захаровна
Грузинский технический университет
Департамент грузинской филологии и медиа-технологии
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 599 988 814
E-mail: tikomosemgvdlishvili@gmail.com

Резюме

Целью статьи является показать роль средств массовой информации в формировании нацио-

нального языка. Замена русскоязычных слов английскими создала большую опасность для грузинского языка. В статье рассмотрена проблема внедрения в язык иностранных слов, а так же и не характерной для грузинского языка интонации, синтаксиса и порядка слов в предложении.

Ключевые слова:

национальный язык, неологизмы, публицистика, информационно-аналитический.

გლობალიზაცია და ლინგვისტური იმპერიალიზმის საფრთხე

თინათინ მოსემგვდლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქართულ ფილოლოგიისა და მედია
ტექნოლოგიების დეპარტამენტი
კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო,
ტელ: 599 988 814
E-mail: tikomosemgvdlshvili@gmail.com

რეზიუმე

გლობალიზაციის პირობებში ერთიან საკომუნიკაციო ენად მსოფლიოს დიდ ნაწილში ინგლისური მიიხნევა. მკვლევართა აზრით, ეს ლინგვისტური იმპერიალიზმის საფრთხეს ქმნის, რასაც ერი სახელწიფოები განსხვავებული ენობრივი პოლიტიკით პასუხობენ. სტატიაში განხილულია ლინგვისტური პლურალიზმის მნიშვნელობა და ევროპის საბჭოს ლინგვისტური პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები:

გლობალიზაცია, ლინგვისტური იმპერიალიზმი, ლინგვისტური პლურალიზმი, ინგლისური ენა.

შესავალი

კომუნიკაციების სფეროში გლობალიზაციას ციფრულმა ტექნოლოგიებმა, სატელეფონო კავშირმა, ელექტრონულმა მასმედია და სხვა საშუალებებმა შეუწყო ხელი. შეერთებული შტატების მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, განვითარდა ინტერნეტი, რომელშიც დომინირებს ინგლისური ენა.

ენობრივი გლობალიზაციის განვითარებასა და ყოვლისმომცველობასთან ერთად ვითარდება სხვადასხვა ენის გამოყენების მასშტაბები მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო ურთიერთობები ითხოვს გარკვეულ

საერთაშორისო ენებს, რომლებზეც იქნება ნაწარმოები ეს ურთიერთობები.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ენაა მანდარინი (ჩინური) – 845 მლნ მოსაუბრე, მეორე ადგილზეა ესპანური – 329 მლნ, ხოლო მესამეზე ინგლისური – 328 მლნ. ამასთან ყველაზე პოპულარულ „მეორე ენას“ წარმოადგენს ინგლისური და ის გახლავთ გლობალიზაციის, ე. წ. „ლინგუა ფრანკა“. აქვე მოვიყვანთ მცირედ სტატისტიკურ ინფორმაციას ენებთან დაკავშირებით, უფრო სწორად ინგლისურ ენასთან დაკავშირებით: მსოფლიო მიმოწერის 35% ინგლისურ ენაზეა ნაწარმოები; რადიოგადაცემათა 40% ასევე ინგლისურ ენაზეა; ინტერნეტის დომინანტი ენა ინგლისურია.

ძირითადი ნაწილი:

გლობალური კომუნიკაციის მთავარ ენად ინგლისურის წამოწევა არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მაგალითად, დანიელი მკვლევარი სტიგ ჰიარვარდი, სტატიაში „ენის გლობალიზაცია როგორ უწყობს ხელს მედია ინგლისურის გავრცელებასა და მედია-დიალექტის წარმოშობას“ (2004), აღნიშნავს, რომ ინგლისური ენის გავრცელება დღეს შეიძლება ლინგვისტურ იმპერიალიზმად მივიჩნიოთ. მისი დაკვირვებით, ინგლისურმა დანიურ ენაზე ბოლო წლებში საგრძნობი გავლენა იქონია. შეიცვალა არა მხოლოდ მთელი რიგი სიტყვების წამოთქმის ინტონაცია, არამედ პუნქტუაცია და სინტაქსი. ჰიარვარდის კვლევის შედეგების მიხედვით, დანიურში ბოლო წლებში აღმოცენებული ახალი სიტყვების 38% ინგლისური წარმომავლობისაა. ამას გარდა მნიშვნელოვან

ნია დავაფიქსიროთ, რომ ენაში მომხდარი ცვლილებები არა მხოლოდ ლინგვისტური საკითხია, არამედ პოლიტიკური და სოციალური. უცხოურ მედია ტექსტებთან ერთად საზოგადოებაში შემოდის დასავლური, ამერიკული ფასეულობები, რომლებიც უპირისპირდება ადგილობრივ ფასეულობათა სისტემას.

გლობალიზაციის გავლენა შეიმჩნევა ქართულ ენაზეც. ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი უცხო სიტყვა მკვიდრდება. ხშირად ეს სიტყვები არა მხოლოდ სასაუბრო ენაში, არამედ საგაზეთო და პუბლიცისტურ ენაშიც გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში საერთაშორისო საკომუნიკაციო ენად ინგლისურია მიჩნეული, ევროპა თავისი მოქალაქეების მრავალენობრივ განათლებაზე ზრუნავს. ამ კონტექსტში მინდა უფრო ვრცლად და დეტალურად განვიხილო ევროპის საბჭოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია განათლების სფეროში ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და ენების შესწავლის წახალისებისაკენ. ეს პროექტი ხორციელდება ევროპის კულტურული კონვენციის მეორე მუხლის ფარგლებში, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყონ ერთმანეთის ენების სწავლებასა და სწავლას. ყველა ხელშემკვრელი მხარე, შესაძლებლობისამებრ, იღებს ვალდებულებას: წახალისოს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ენების, ისტორიისა და ცივილიზაციის შესწავლა მის მოქალაქეთა მიერ და შეუქმნას პირობები ამ სახელმწიფოებს ამგვარი სწავლების წახალისებლად მის ტერიტორიაზე; არ დაიშუროს ძალისხმევა მისი ენის, ისტორიისა და ცივილიზაციის გავრცელებისათვის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და შეუქმნას პირობები ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, მიიღონ ამგვარი განათლება მის ტერიტორიაზე.

ამ მუხლის არსიდან გამომდინარე, ენობრივი განათლების სფეროში ევროპის საბჭოს საქმიანობა ხუთი ათწლეულის მანძილზე ხორციელდებოდა წევრი ქვეყნების ცვალებადი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. საბჭო ხელს უწყობს მიდგომებს, რომლებიც განამტკიცებს ლინგვისტურ მრავალფეროვნებასა და ენობრივ უფლებებს, აძლიერებს ურთიერთგაგებას, ახდენს დემოკრატიული მოქალაქეობის კონსოლიდირებას და იცავს სოციალურ ინტეგრაციას.

ევროპის საბჭოს ლინგვისტური პოლიტიკა გადაჯაჭვულია მის მიერ განათლების სფეროში დადგენილ პრიორიტეტებზე და ის შემდეგ მიზნებს ისახავს: დაიცვას მრავალენობრივობა, რომელიც განსაზღვრულია როგორც ყველა ადამიანის უფლება, თავისი სიცოცხლის მანძილზე საჭიროებისამებრ აიმაღლოს რამდენიმე ენაზე კომუნიკაციის უნარი. ამას გარდა, ხელი შეეწყოს ლინგვისტურ მრავალსახეობას, რადგან ევროპა მრავალენოვანია და მისი ყოველი ენა თანაბრად ღირებული საშუალებაა კომუნიკაციისა და თვითმყოფადობის გამოსახატავად; ენათა გამოყენებისა და ფლობის უფლება დაცულია ევროპის საბჭოს კონვენციებში. ევროპის საბჭოს პოლიტიკა მიმართულია დემოკრატიული მოქალაქეობის დასაცავად, სადაც მრავალენოვან საზოგადოებებში დემოკრატიულ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობა უნდა გაადვილდეს ადამიანების მრავალენოვანი უნარებით.

ენის დემოკრატიზაციის პოლიტიკა კომპლექსური საკითხია და მის მიმართ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მკვლევარების ნაწილი პოზიტიურად არის განწყობილი ლინგვისტური დემოკრატიზაციის სხვადასხვა მცდელობების მიმართ და მიიჩნევს, რომ ეს, გლობალიზაციის პირობებში, ადამიანის უფლებების დაცვის მსგავსად, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ამის საპირისპიროდ, ჩნდება ასევე აზრი,

რომ ლინგვისტურმა დემოკრატიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოების სუვერენიტეტს და სხვადასხვა ეთნიკურ (ლინგვისტურ) ჯგუფებს შორის კონფლიქტი გააღვივოს.

დასკვნა

ლინგვისტური პლურალიზმი როგორც ცნება, უკავშირდება ლინგვისტურ უფლებებს, რომელიც ადამიანის უფლებების მსგავსად, მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. „ლინგვისტურ უფლებას“, მაი (2001) განმარტავს, როგორც მცდელობებს, კანონის ძალით განისაზღვროს და დაცულ იქნას უმცირესობების ლინგვისტური უფლებები, მიეცეთ მათ საშუალება, მიიღონ განათლება და ჰქონდეთ კომუნიკაცია საკუთარ ენაზე.

მსოფლიოში ლინგვისტური საკითხის განხილვისას შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ გლობალურ, რეგიონულ და ნაციონალურ დონეზე. მიუხედავად ამისა, კანონები ენის შესახებ ძირითადად არის ლოკალური/ნაციონალური. XIX საუკუნეში ნაციონალური ენა ევროპაში მიჩნეული იყო როგორც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების, განმტკიცების მთავარი პოსტულატი [გელნერი. 1983]. თუმცა მოგვიანებით, გლობალიზაციის პირობებში, ამ პროცესის მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები ერთიანად აღიარებენ ერთიანი საკომუნიკაციო ენის არსებობის გარდაუვალობას.

კოულმანსი (2005) მიიჩნევს, რომ ინგლისური ენის ამ დონეზე გაძლიერება არ მიგვითითებს ერთენოვანი გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე და მისი აზრით, ასეთი რამ პრაქტიკულად შორს არის რეალობისაგან. კოულმანსის აზრით, სურათი უფრო კომპლექსურია. ის მიმოიხილავს ევროპის კოლონიალურ წარსულს და

უჩვენებს, რომ ევროპული ექსპანიის შედეგად, ევროპული ენები გავრცელდა აზიასა და აფრიკაშიც. დღეს არსებული ძლიერი ანგლო-საქსონური გავლენა კი კონკრეტულად ინგლისური ენის მსოფლიო დონეზე გაძლიერებას უწყობს ხელს.

თუ ენობრივ დემოკრატიზაციას განვიხილავთ გლობალიზაციის ჭრილში, მის დადებით შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ასეთი პოლიტიკა შეიძლება გახდეს გარანტი ადგილობრივი და რეგიონული ენების განვითარებისა, რათა დაკარგონ თავისი აქტუალურობა.

არავინ არ უარყოფს ერთიანი საკომუნიკაციო ენის საჭიროებას (რომელსაც ამჟამად ასრულებენ ინგლისური, ესპანური, ფრანგული, რუსული ენები), მაგრამ ენობრივი დემოკრატიზაციის პროცესებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას ნაციონალურ ენებს, მით უფრო ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომლისთვისაც ეროვნული ენის ბუნებრივი შეუმღვრეველობა საერთოდ არის არსებობის პირობა.

ლიტერატურა

1. ტაბიძე ნ. (2011): პუბლიცისტიკის საკითხები. „უნივერსალი“. თბილისი
2. ბრეგაძე კ. (2008): იოჰან გოტფრიდ ჰერდერის ენის ფილოსოფია როგორც ენის ენერგეტიკული თეორია. ენათმეცნიერების საკითხები I. (3661) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISSN 15120473
3. ქევანიშვილი ე. (2012): ქართული მედია და მისი ენა. <http://www.radiotavisupleba.ge/content/georgianmedialanguage/24585152.html>
4. მახარაძე გ. (2011): ვილჰელმ ჰუმბოლდტი – ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი <http://pre-sa.ge/new/?m=society&AID=4246>

5. კვარაცხელია გ. (1990): ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა. თბილისი

6. ცხადაძე ე. (2010): თანამედროვე პუბლიცისტური ჟანრების კვლადაკვალ. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მოამბის” დამატება / საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. ISSN: 1512102X. N1(16). გვ. 164-166

7. Васильева А. (1982): Газетнопублицистический Стилль Речи. Москва

8. საღინიძე რ. (2013): პრესაში სარკესავით აირეკლება ენის განვითარების რთული გზა. <http://www.psnews.ge/php/newsPrint.php?lang=geo&t=26&uid=908>

9. May S. (2001): Language and Minority Rights: Ethnicity, Nationalism and the Politics of Language. Longman. London

10. Gellner E. (1983): Nations and Nationalism. Blackwell. Oxford

11. 0165–2516/05/0175/0176–0003 Int’l. J. Soc. Lang. (2005). pp. 3–15

12. Coulmas F. (2005): Changing language regimes in globalizing environments. International Journal of Sociology of Language. 175/176. pp. 3–15

Globalization and Danger of the Lingual Imperialism

Tinatin Mosemgvdlishvili
Georgian Technical University
Department of Georgian Philology and Media Technology
77 Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel: 599 988 814
E-mail: tikomosemgvdlishvili@gmail.com

Abstract

Due to globalization, English has emerged as a dominant communication language, which raises concern regarding linguistic imperialism. Nation states respond to this trend with various policies. In relation to this question, the article reviews concept of linguistic pluralism and discusses how Council of Europe addresses this issue.

Keywords:

Globalization, Linguistic Imperialism, Linguistic Pluralism, English Language.

Глобализация и опасность лингвистического империализма

Мосемгვდლიშვილი Тინათინ Захаровна
Грузинский технический университет
Департамент грузинской филологии и медиа-технологии
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 599 988 814
E-mail: tikomosemgvdlishvili@gmail.com

Резюме

В условиях глобализации общим коммуникативным языком в большей части мира является английский язык. По мнению исследователей, это представляет опасность лингвистического империализма, на что государства отвечают разнovidной языковой политикой.

В статье рассмотрены значение лингвистического плюрализма и лингвистическая политика Евросовета.

Ключевые слова:

Глобализация, лингвистический империализм, лингвистический плюрализм, английский язык.

Reader-Response სწავლების მეთოდი უცხოური ენის დაუფლების პროცესში

ციალა საკარული
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ენების ცენტრი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ : 577 288 314
E-mail: tsialasakaruli@yahoo.com

რეზიუმე

ლექციებზე ტექსტის ინტერპრეტაციისას Reader-Response მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას უცხო ენის უკეთ სწავლების მიზნით. საილუსტრაციოდ ვაანალიზებთ ვ. ვულფის მოთხრობას „Kew Gardens“ აღნიშნული მეთოდის ავტორების მიერ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით. სტატიაში საზგასმით აღვნიშნავთ, რომ პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხები არაუნიფიცირებულნი უნდა იყვნენ და გამოსატავდნენ უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტების ინდივიდუალურ დამოკიდებულებას გასაანალიზებელი ტექსტის მიმართ. საგნის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ რამდენად გამართულად და რამდენად მდიდარი ლექსიკით გადმოსცემენ სტუდენტები ავტორის მიერ კოდირებულ ინტენციას.

საკვანძო სიტყვები:

ინტერპრეტაცია, ტექსტი, არაუნიფიცირებული, უცხოური ენა, ლექსიკა.

შესავალი

ტექსტის ინტერპრეტაციის ასპექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ინგლისური მიმართულების სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების მომცველი მუშაობის ერთ-

ერთი ძირითადი კომპონენტია, რომლის სასწავლო ამოცანები, მიზნები და პრობლემები წლების განმავლობაში წარმატებით მუშავდება მიმართულების ფარგლებში და ყოველთვის ნათელი იყო, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორი მეთოდოლოგიური პრინციპებით ინტერპრეტაციის ასპექტის დაუფლებას მომავალი ფილოლოგის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

ინტერპრეტაციის სწავლების უპირველესი დანიშნულებაა ეფექტურად დაეხმაროს სტუდენტებს, გაადრმაგონ და დახვეწონ ტექსტის აღქმის უნარი და, ამ გზით, უფრო კარგად გააცნობიერონ მკითხველთა როლი ტექსტის დეკოდირების პროცესში. Reader-Response თეორიის აპოლოგეტების (რ. როზენბლადტი, პ. მორი, ჯ. ველში) კვლადაკვალ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მხოლოდ უნიფიცირებული ინტერპრეტაციული მოდელი ფილოლოგის პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესს ნამდვილად ვერ გამოადგება. სწორედ ამიტომ, ტექსტის ინტერპრეტაციისას Reader-Response მეთოდიკის მიხედვით სტუდენტებს კითხვების სახით უნდა მივაწოდოთ დავალებები, რომლებიც საშუალებას მისცემენ, ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი სხვადასხვა კუთხით დანახული ტექსტური რეალობის მიმართ.

ძირითადი ნაწილი

ტექსტის ინტერპრეტაციის სწავლების ეფექტურობას შემდეგი ძირითადი პარამეტრები განსაზღვრავენ; ესენია: ა) ტექსტის სიღრმისეული შინაარსის ამოკითხვის მაღალი ხარისხი; ბ) ტექსტის სიღრმისეული შინაარსისა და მისი სტრუქტურ-

რული დალაგების ურთიერთმიმართება; გ) ნაწარმოებში ავტორისეული ინტენციის, ანუ თემისა და იდეის სწორი ესკალირაცია; დ) ტექსტში რეალიზებული სტილისტური ხერხების დაფიქსირება და მათი მხატვრული ეფექტის გაშლილი სახით ფორმირება; ე) სტუდენტების მიერ ტექსტისადმი საკუთარი არაუნიფიცირებული პოზიციის დაფიქსირება; ვ) საპრეზენტაციოდ მომზადებული ყოველი პოსტულატის ილუსტრირება შესაბამისი კონტექსტით, პარაგრაფით, დეტალით. დასახელებული პარამეტრებით განსხვავდება ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაცია ლიტერატურულიდან; და, რაც მთავარია, სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად, არაუნიფიცირებული სახით უცხოურ ენაზე ჩამოყალიბებულ მიმოხილვაში გამოყენებული უნდა იქნას გამართული დექსიკური, გრამატიკული, სტილისტური საშუალებები, რაც სტუდენტის – მომავალი ფილოლოგის პროფესიონალიზმის აუცილებელი საკვალიფიკაციო პარამეტრია.

ტექსტის ინტერპრეტირებისას ჩვენ წარმატებით ვიყენებთ მხატვრული ტექსტის, ან მისი ნაწილის, დეტალის, ეპიზოდის შესაბამის ნეიტრალურ, ე.წ. პერიფრაზირებულ ოდენობასთან შეპირისპირების მეთოდსაც, სადაც ჩანაცვლების მეთოდი ასევე აქტიურად გამოიყენება. მხატვრული ტექსტისა და იდენტური შინაარსის ნეიტრალური მუხტის მქონე ერთეულების დაპირისპირება შესაძლებელს ხდის, მივიღოთ ის მადიფერენცირებელი ოდენობა, რაც მწერლის მიერ ტექსტში რეალიზებული მოდალური მნიშვნელობის ტოლია.

გარდა ამისა, ტექსტის ინტერპრეტაციისათვის წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ „მოულოდნელობის ეფექტის“ სახელით ცნობილი ინდიკატორული ოდენობები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება ტექსტში მოდალობის მარეალიზებელი ოდენობის საიდენტიფიკაციოდ.

ტექსტში მწერლის მიერ რეალიზებული ყოველი ცდა, გადაუხვიოს შინაარსის გან-

ვითარების ნეიტრალურ ნარატივს, უნდა განიხილებოდეს როგორც დამატებითი ინფორმაციის გამომხატველი სიგნალი. მაგალითად, ენობრივი ერთეულის გამეორება უკვე გარკვეული მოდალობის გაჩენის სიგნალია; შესაბამისად, იგი ინტერპრეტაციის საგანი შეიძლება გახდეს.

ჩვენ შევეცდებით, Reader-Response მეთოდის პოზიციებიდან განვიხილოთ ვ. ვულფის მოთხრობა „Kew Gardens“ (2,217).

როგორც ცნობილია, ვ. ვულფის მოთხრობა „Kew Gardens“ თავისი შინაარსობრივი ქარგით და სტრუქტურით ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. მოთხრობის სათაური როგორც გარკვეული ლოკალიზაციის გამომხატველი, მკითხველისათვის სიუჟეტური ინდიკატორის ფუნქციას მოკლებულია. აღნიშნულ ბაღს, რომელიც ლონდონთან ახლოს მდებარეობს, საინტერესო ისტორია აქვს. იგი როგორც კერძო საკუთრება, თავიდან ერთი მფლობელის ხელიდან მეორეში გადადიოდა. ახლა კი, ინგლისის დედაქალაქის მოსახლეობისათვის და სტუმრებისათვის დასვენების ერთ-ერთი სილამაზით განთქმული ტერიტორიაა. მხატვრული ლიტერატურა სათაურში გეოგრაფიული ხასიათის მშრალ დეზიგნაციას ნაკლებად იცნობს. ავტორი მოცემულ სათაურში ქმნის ინტრიგას, რა ჟანრისაა მოცემული მოთხრობა? რასაკვირველია, კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მკითხველი ტექსტს გაეცნობა. პირველი კითხვა, რომელსაც სტუდენტებმა პასუხი უნდა გასცენ, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: What expectations does the title evoke in readers? პასუხი, ბუნებრივია, უნდა იყოს არაუნიფიცირებული და, შეძლებისდაგვარად, მოთხრობიდან ამოღებული კონტექსტებით დასაბუთებული. მოსალოდნელია, აღნიშნულ კითხვაზე პასუხში ხაზგასმული იყოს, რომ მოთხრობის ექსპოზიციის რეალიზებული ორი პარაგრაფი თავისი სტრუქტურით, ხედვით, ასევე

შინაგანი თავდაჯერებით, ტონალობით, შენელებული რიტმით შეიძლება მოთხრობის ექსპოზიციის გადმოცემის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითად ჩავთვალოთ. აქ შესანიშნავი მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული ამ წუთისოფლის ფილოსოფია დასაბამიდან ბოლო წუთამდე თავისი საოცარი სილამაზით, საოცრებებით, იდუმალებით; ყველაფერ ამის კვინტესენცია კი – ეს ის ანარეკლია ადამიანთა თვალეში, რომელიც ამ სამყაროს ყველა ამოსუნთქვას სულში და გულში ატარებს, მისით არსებობს, როგორც ერთი განუყოფელი რამ (2.218).

მოთხრობაში გამოყენებული შინაარსობრივ-სტრუქტურული მოდელი ავტორისეული ინტენციის რეალიზების კარგი კონტექსტუალური გარემოა. ექსპოზიციის შემდეგ განვითარებული თხრობა რამდენიმე კომპოზიციური ფრაგმენტითაა წარმოდგენილი, სადაც დამოუკიდებელი ფრესკული სურათები ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ შემადგენელ ეპიზოდებს ერთი არეალი (setting) – Kew Gardens აქვთ.

ვ. ვულფის მოთხრობაში ეპიზოდების ერთიანობა ავტორისეული ინტენციითაა განპირობებული: კიუს ბაღი არის ის სივრცე, სადაც ავტორი სამყაროს ერთიანობის და ომის საშინელებების ორ ძირითად თემას დახვეწილი მხატვრული ხერხებით, ფარული სევდანარევი ოპტიმიზმით გვიზიარებს.

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელია, დაისვას შემდეგი კითხვა: In the story what objective indications for the realization of the content – structure have you traced? ჩვენთვის მისაღებია შემდეგი პასუხი: მოთხრობაში წარმოდგენილი ექვსი ეპიზოდი პირობითად 2 ძირითად ჯგუფად (ტრიპტიქად) შეიძლება იქნას გაერთიანებული. ეპიზოდების ასეთი სახით სეგმენტაცია რელევანტურია იმის გამო, რომ ვ. ვულფის ამ ნაწარმოებს განვიხილავთ როგორც ბუნებისა და ცოცხალი სამყაროს მარადიული ერთიანობის

გამომხატველ პროზაულ ხოტბას (ოდას). დასაშვებად მიგვაჩნია დამხმარე ხასიათის დამატებითი კითხვების დასმაც.

ექვსი დამოუკიდებელი ეპიზოდის ორ ნაწილად გაერთიანებად წარმოდგენის იდეა ნაწარმოებში რეალიზებული ეპიზოდების შინაარსის სტრუქტურული დაყოფის ფაქტმა განაპირობა. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლოკოკინას - ცოცხალი სამყაროს სრულფასოვანი არსების სიძნელეებით სავსე გზის ორ ნაწილად წარმოდგენამ, რაც კარგად ეხმიანება ადამიანთა სამყაროს რაღაცისადმი გაუთავებელი ლტოლვით, დაუოკებელი ვნებებით, იმედებით აღსავსე ამქვეყნიური არსებობის რეალობას.

საინტერესოდ გვეჩვენება, თუ ჯგუფის პედაგოგი მომღეწო კითხვას შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს: Why is the structural model of triptych in the story repeated? ასეთი კითხვა სტუდენტებს ნამდვილად მისცემს შესაძლებლობას თავიანთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი აზრი გამოთქვან, უკეთ გააცნობიერონ, რომელი მათგანია უფრო მისაღები და გამონახონ სწორი არგუმენტაციისათვის საჭირო კონტექსტუალური ფაქტები. ჩვენი აზრით, ტრიპტიქის სტრუქტურული მოდელის განმეორებით ვ. ვულფს უნდოდა, რომ მისი პოზიცია სამყაროს ერთიანი ჰარმონიულობის შესახებ, რაც ნაწარმოებში მხატვრულად შენიღბული, ალეგორიულად ტრანსფორმირებული ხერხითაა გადმოცემული, მკითხველისათვის უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო.

ცნობილია, რომ მთელი შემოქმედების მანძილზე ვ. ვულფი ხელოვნებაში იმპრესიონისტთა იდეებს იზიარებდა. მოცემულ მოთხრობაშიც ვერბალიზებული თითოეული კადრი, ეპიზოდი იმპრესიონისტული ტექნიკის დიდ გავლენას ამჟღავნებს. ნაწარმოებში იმპრესიონისტული სველები ხომ ფრთხილი, ფაქიზი აღქმის მქონე შემოქმედის გონებაში გარდატეხილი ცნობიერების ანარეკლია; საგნების კონტურები ღრმად გააზრებული,

იდუმალი და შთამბეჭდავია და სიტუაციით განპირობებულია, გამოირჩევა სიღრმით და არა შემოქმედის სპონტანური შტრიხებით, როგორც ხშირად იმპრესიონისტთა ნამუშევრებში შეიძლება შევამჩნიოთ ხოლმე.

ფილოლოგი სტუდენტისათვის ვულფისეული იმპრესიონისტულად ვერბალიზებული „სავალეულო სავარჯიშოები“ აღსაქმელად ძნელი არ უნდა იყოს. სასურველია, სტუდენტმა მოთხრობაში მიაკვლიოს ხშირად სუსტი პულსაციის, მაგრამ ძლიერი ფუნქციის მქონე პასაჟებს, გამართულად ჩამოაყალიბოს თავისი აზრი უცხოურ ენაზე, მოუსმინოს და შეაფასოს მეგობრების მიერ გამოთქმული დეტალები. დარწმუნებულნი ვართ, მეცადინეობის ასეთი მეთოდით წარმართვა სტუდენტების ფილოლოგიური (და არა მხოლოდ) ინტერესის დახვეწის პროცესს, უცხო ენის უკეთ დაუფლების ამოცანებს დიდად წაადგებოდა. საინტერესოა, რა ინტერპრეტაციას გამოუძებნიდა სტუდენტი ვ. ვულფის მოთხრობიდან შემდეგ ამონარიდს:

(They) soon diminished in size among the trees and looked half transparent as the sunlight and shade swam over their backs in large trembling irregular patches (2, 219).

ჩვენი ვარაუდით, მოცემული კონტექსტის ინტერპრეტაციისას ხაზი უნდა გაესვას, რომ ვერბალიზებული სურათი სიმკვეთრეს მოკლებულია და მკითხველს ისდა დარჩენია, გონებაში შექმნას სინამდვილის ანარეკლი. ავტორი გასაოცრად მდიდარ სიტყვიერ პალიტრას იყენებს რეალობაში ჩადირული სურათების ცვლადი, მოუსვენრად მფეთქავი მახასიათებლების გადმოსაცემად; კიუს ბაღში ყველაფერი სუნთქავს, მოძრაობს და, ამიტომაც, სიმკვეთრეს კარგავს. ასეთი მოუსვენარი, მწვავედ მფეთქავი პულსაცია გადმოცემულია ზმნებით – waver, dissolve, murmur, flash, envelope, ramble, shift. პოსტ-იმპრესიონისტულ ეფექტს აძლიერებს as if და like კავშირების მრავალჯერადი გამოყენებაც.

მოთხრობა „Kew gardens“ მდიდარია იმპრესიონისტული პასაჟებით. ავტორისათვის მიმზიდველია საგნები და მოძრაობები თავისი დარღვეული, არათანაბარი გარეგანი იერით. მაგალითად: the light now settled upon the flesh of a leaf, revealing the branching thread of fibre beneath the surface; colour was flashed into the air above, into the eyes of the men and women; the figures straggled past the flower-bed with a curiously irregular movement not unlike that of the white and blue butterflies who crossed the turf in zig-zag flights from bed to bed (2,218).

მოყვანილი კონტექსტების საშუალებით ჩვენ ვცდილობთ მკითხველი დავარწმუნოთ, თუ როგორ შესანიშნავად ფლობს ვ. ვულფი იმპრესიონისტული სურათების ვერბალიზაციის ტექნიკას, რისთვისაც იგი ხაზგასმით იყენებს არასტატიკური მნიშვნელობის ზმნებს, ცვლადი გარეგანი ფორმების, არამდგრადი მდგომარეობის გამომხატველ დეტალებს; მაგალითად, trembling irregular patches, diminished in size, branching thread of fibre, curiously irregular movement, zig-zag flights, flashed into the air, figures straggled და სხვა.

ავტორისეული მახვილი თვალით დანახული ბუნების საოცრებანი ტექსტის ტემპს შესამჩნევად ანელებს – მკითხველს დრო სჭირდება ბუნების ვულფისეული დიდი სილამაზის აღსაქმელად, რომელიც კითხვის დროს თითქოს ხელით უკან გეწევა. მწერლის მიერ შერჩეული სიტყვის სიღრმეში მკითხველმა რომ ღრმად ჩაიხედოს, იდუმალეობით გაუღვინთილი სურათი რომ გაითავისოს, საჭიროა ტექსტს რამდენჯერმე დავუბრუნდეთ, რამეთუ ვულფისეული სიტყვის სურნელი ადვილად დასამორჩილებელი სულაც არ არის.

ვ. ვულფის მიერ დახატული ბუნების სურათები თავისი უნატიფესი პერცეფციებით, მოულოდნელობებით სავსეა; ერთი შეხედვით, თითქოს მარტივიც, მაგრამ არა, თავისი სიმარტივით ძალიან რთული, რაც თავად ბუნების არსითაა განპირობებული; ის ხომ ესეც არის და ისიც, ის ხომ ყველაფერია,

ის ხომ სინათლეა, რომელიც ბუნების ოპტიკური სურათის განმსაზღვრელია. მწერალი თავდავიწყებით დასტრიალებს თავის უღამაზეს „ყვავილნარს“ უღამაზეს კიუს ბაღში. აქ თითქოს ყველაფერი სხვანაირია მოუხელთებლად მოთამაშე სინათლის სხივზე; თითქოს ფერებიც – red, blue, yellow არსით არ იცვლება, მაგრამ რა სხვანაირი ეფექტით წარმოგვიდგენენ ყველაფერს. საინტერესოა, რომ ავტორი ამ ფერთა მწკრივს ტექსტში ხშირად იმეორებს. რატომ? სტუდენტები ალბათ მოუძებნიან მათთვის მისაღებ პასუხს. ჩვენი აზრით, ენობრივ ერთეულთა ასეთი დაჟინებული გამეორება შინაარსის გამაერთიანებელ კომპონენტად გვევლინება და ბუნების მოუხელთებელ განწყობას მოსახელთებელ შთაბეჭდილებად აქცევს.

ცნობილია, რომ მზით გაჯერებული ატმოსფეროს ტილოზე გადატანის სურვილი მრავალი იმპრესიონისტის შემოქმედებითი ტექნიკის ხშირი თანამგზავრია. მათ ხომ ნატიფი წუთიერი განცდების და შთაბეჭდილებების გადმოცემა სურდათ და მიაჩნდათ, რომ განათებულ სივრცეში ეს უფრო ადვილად მიიღწეოდა. ასეა ვულფთანაც: მოთხრობაში დახატული პეიზაჟები მზით და სინათლით გაჯერებული ენობრივი საშუალებებითაა გადმოცემული (spots of colour raised upon the surface; intricate colour; the colour was flashed into the air). აქედან გამომდინარე, სტუდენტებს შეიძლება დაუვსვთ შემდეგი კითხვა: why are light and colour so actively referred to? სასურველია, პასუხები არაუნიფიცირებული იყოს. სავალდებულოა, უცხოურ ენაზე ისინი გრამატიკულად, შინაარსობრივად გამართულად ქდერდეს. სწორედ ამ პოზიციებიდან გვესმის Reader-Response მეთოდის ეფექტიანობის არსი სტუდენტებთან ინტერპრეტაციის ასპექტში მუშაობისას.

სამყაროსადმი ვულფის დადებითი, მაგრამ ბოლომდე იმპრესიონისტული დამოკიდებულება იგრძნობა მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირის – ლოკოკინას მიმართ. ის

ხომ პატარაა და ამიტომაც, უჭირს გზაში შემხვედრი წინაღობების გადალახვა. ეს დაბრკოლებებია: „brown cliffs with deep green lakes in the hollows, flat, blade like trees that waved from root to tip, round boulders of grey stone, vast crumpled surfaces of a thin crackling texture – all these objects lay across the snail’s progress between one stalk and another to his goal“ (3, 220). ამ იმპრესიონისტული რეალობის ლაკმუნის ქაღალდი მხოლოდ მცენარეთა ყუნწებია, როგორც შექურა მშფოთვარე ზღვაში. კონტექსტში რეალიზებული აზრის დეკოდირებისას დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი კითხვა: Is the snail’s progress to his goal in the story brought close to impressionistic ideas? ბუნებრივია, პასუხში აირეკლება სტუდენტის ინდივიდუალური ხედვა აღწერილი რეალობის მიმართ. ჩვენი აზრით, პასაჟის წამყვანი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს გარშემო არსებული რეალობა ისეთივე ხასიათისაა, როგორც აინშტაინის ფარდობითობის თეორია გვასწავლის.

მოთხრობის ზოგიერთი პასაჟის შენელებული ტექსტური პულსაცია აღინიშნება თავისი სპეციფიკური ლექსიკური მასალითა და ხშირი გამეორებებით; მაგალითად, Thus one couple after another with much the same irregular and aimless movement passed the flower – bed and were enveloped in layer after layer of green – blue vapour, in which at first their bodies had substance and a dash of colour, but later both substance and colour dissolved in the green – blue atmosphere (2,223).

დასკვნა

ყველაფერი მოძრავია, გარდამავალია და წარმავალიც. ინტერპრეტაციისას კი, მისაღებად მიგვაჩნია შემდეგი კითხვა, რომელზედაც სტუდენტებმა თავისი საკუთარი ინდივიდუალური ხედვა უნდა ჩამოაყალიბონ: Why do you think this inconsistency in nature and life is made so striking in the story?

ჩვენი აზრით, პასუხი უნდა გულისხმობდეს რეალობის პოსტ-იმპრესიონისტულ აღქმას რეალობა მკვეთრ სურათოვნებას მოკლე-ბულია და ამიტომაც, ინდივიდუალურობას უფრო და უფრო კარგავს.

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა, თუ სტუდენტებთან მუშაობის პროცესში, ტექსტის ინტერპრეტაციის ასპექტის უცხოურ ენაზე უკეთ დაუფლების მიზნით მსოფლიოში პოპულარული Reader-Response მეთოდიკა პრაქტიკაში როგორ ეფექტურად შეიძლება დავინერგოთ.

ლიტერატურა:

1. An Overview of the Reader-Response Theory
2. Woolf V., Kew Gardens (1974): A book of short Stories by English Authors; compilers of the book and authors of notes Dara Goyer – Tsereteli; Tsira Matureli. W. Tbilisi

Reader – Response Method in the Process of Teaching a Foreign Language

Tsiala Sakaruli
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center of Foreign languages
36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 5577 288 314
E-mail: tsialasakaruli@yahoo.com

Abstract

In the article we have made an attempt to show that in the process of interpreting texts at lectures the Reader – Response method may be effectively employed for mastering a foreign language. To illustrate the process we analyzed V. Woolf's story Kew Gardens in accordance with the parameters offered by the authors of the above - mentioned method. In the article we underline that the answers to the

teacher's questions should not be unified and should express the student's individual attitude to the text being analyzed. The teacher, in his turn, should attentively follow how accurately and fluently the students render the author's coded information.

Keywords:

interpretation, text, nonunify, foreign language, vocabulary.

Reader – Response метод в процессе преподавания иностранного языка

Сакарули Циала Михайловна
Тбилисский государственный университет
Центр иностранных языков
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 577 288 314
E-mail: tsialasakaruli@yahoo.com

Резюме

Reader – Response метод на лекциях интерпретации текста можно успешно применить для лучшего преподавания иностранного языка. Для иллюстрации мы проанализировали рассказ В. Вульфа „Kew Gardens“ согласно параметрам метода Reader-Response. Ответы на поставленные педагогом вопросы должны выражать индивидуальные отношения студентов к анализируемому тексту. Педагог, в свою очередь, должен внимательно следить, насколько студенты правильно и при помощи богатой лексики передают кодированную автором интенцию.

Ключевые слова:

интерпретация, текст, неунифицированный, иностранный язык, лексика.

ციტატა - ინტერტექსტუალური ნიშანი მაღალი ენერგეტიკული პოტენციალით

თამარ ფხაკაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზირი 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 928 000
E-mail: thamar_pkhakadze@yahoo.fr

რეზიუმე

კვლევის მიზანია შეისწავლოს ციტატა, როგორც ფსიქოლოგიური ბაზა, ე. წ. სემანტიკური, ვერბალური, მოლაპარაკის ენობრივი მექანიზმები, რომელშიც ინახება ადამიანის მიერ გათავისებული ყველა ტექსტი. ციტატა, ფართო გაგებით, არის ინტერტექსტუალური ნიშანი მაღალი ენერგეტიკული პოტენციალით, რაც საშუალებას აძლევს მას გადაადგილდეს ინტერტექსტის დროსა და სივრცეში. აგროვებს რა კულტურულ აზრებს, ციტატა ამით ზრდის იმპლიციტურ ენერჯიას. ავტორს შეაქვს ციტატები თავის ტექსტში ახალი სემიოსფეროს შესაქმნელად, რომელშიც შენარჩუნებულია მყარი დაძაბულობა საკუთარ და სხვის სიტყვას შორის.

საკვანძო სიტყვები:

ინტერტექსტუალობა, ინტერტექსტი, სხვისი სიტყვა, თავისი სიტყვა, ციტატა, ციტატა.

შესავალი:

ციტატის, ინტერტექსტის, სხვისი და თავისი სიტყვის პრობლემები თანამედროვე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურაში მიჩნეულია ერთ-ერთ საინტერესო და აქტუალურ საკითხებად. ამ პრობლემის მიმართ ახლდ-

ბურ მიდგომას ბიძგი მისცეს, ერთი მხრივ, ფრანგი სტრუქტურალისტების (ე. ჟენეტი, რ. ბარტი) ნამუშევრებში გამოვლენილმა ფაქტებმა და მეორე მხრივ, მ. ბახტინის თეორიებმა – დიალოგიზმის, პოლიფონიის, “სხვისი” და “თავისი” სიტყვის შესახებ.

ციტატა წარმოადგენს სხვისი სიტყვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ციტატა შეიძლება ეწოდოს ტექსტის ნებისმიერ სტრუქტურულ ელემენტს, როდესაც ავტორს შემოაქვს საკუთარ კონტექსტში სხვისი სიტყვა იმისათვის, რომ გარკვეულ სიტუაციაში სხვისი თავისად აქციოს. მიუხედავად ამისა, არ ისპობა დისტანცია ამ სიტყვებს შორის და სიტყვა ერთდროულად ორი კონტექსტის კუთვნილება ხდება – სხვისი და საკუთარი. ამგვარად, ციტატას აქვს ავტონომიური სტატუსი, რაც გულისხმობს რეფერენციას არა სამყაროს, არამედ ტექსტის მიმართ, მაგრამ სხვისი სიტყვის მეშვეობით. ციტატა არის ფსიქოლოგიური ბაზა, ანუ ე. წ. ენობრივი, სემანტიკური, ვერბალური, მოლაპარაკის ენობრივი მექანიზმები, რომელშიც ინახება ადამიანის მიერ გათავისებული ყველა ტექსტი, ციტატაში მთავარია მისი ცნობადობა. ციტატაში აზრის დამთხვევა არ არის აუცილებელი, სხვისი სიტყვა ყოველთვის ემსახურება ავტორის აზრის გამოხატვას და თითქოს მეორე პლანზე გადააქვს თავისი პირველადი მნიშვნელობა [ბახტინი. 1986:462].

ციტატა ეწოდება სხვისი ტექსტის შეგნებულ გამოყენებას, რომელიც სულაც არ გულისხმობს ტექსტის ცნობას მკითხველის მხრიდან. ჩვენი აზრით, ციტატის მოვლენა არ უნდა იყოს გაიგივებული სხვა ენობრივ ფენომენტთან, რომელიც სულ სხვა ბუნებით ხასიათდება, კერძოდ კი, არასაკუთრივ – პირდაპირ მეტყველებასთან. ციტირებისას საუბარია „სხვის“ მხოლოდ ნაწილობრივ

შემოტრახე ნათქვამში, ამ დროს წარმოიქმნება ორხმოვანება, ხმა „მე“-ს შეერევა „სხვა“ ხმა. არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებას კი მიდრეკილება აქვს მონოლოგიური ინტერპრეტაციისაკენ, სხვისი ხმა ავლენს ტენდენციას სრულიად განდევნოს ხმა – „მე“. ციტირება განსხვავდება არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველებისაგან მოხმარების სფეროს მიხედვითაც, თავისუფალი ირიბი დისკურსი, აგებული არასაკუთრივ პირდაპირ მეტყველებაზე, არის წმინდა ლიტერატურული წარმონაქმნი. [პაღუჩევა. 1996:360]

თავიდანვე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ციტაცია როგორც სხვისი სიტყვის შემოტანის პროცესი, განხორციელებული ირიბ თქმაში, და ციტატა როგორც ტექსტში შემოსული სხვისი სიტყვა, ბრჭყალებით თუ უბრჭყალებოდ. უფრო მეტად ყურადღება უნდა მიექცეს თხრობის ანუ ციტირების მოვლენას, ვიდრე მოთხრობილის ანუ ციტაციის არსს, რადგან მნიშვნელოვანია გაირკვეს თავად ციტაციის ფენომენი და არა ის, თუ რას მოგვითხრობს ციტატა. ციტაცია არის მოვლენა, რომლის დროსაც ავტორი თავისი აზრის გამოსახატავად მიმართავს სხვის სიტყვას, აქედან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს დაპირისპირება ორ ტექსტს, ორ ავტორს შორის. ციტირება თავის თავში მოიაზრებს ორი ოპერაციის განხორციელებას: ამოღებას და ჩამატებას, ციტირების დროს ხშირია მეტონიმისა და სინეკდოქეს გამოყენებაც.

ძირითადი ნაწილი

არსებითი სახელი „ციტატა“ ნაწარმოებია ლათინური ზმნისაგან „ციტარე“, იტერაციული „ციერე“-სგან, რაც მოძრაობაში მოყვანას, დაძახებას, გამოძახებას ნიშნავს. [Beylot. 2004 :20] ციტატა დინამიკური აქტია, მორგების პროცესია, რომლის ეტაპები

შეიძლება შემდეგ ნაწილებად დავშალოთ: სელექცია, გამოყოფა, გადატანა, ინტეგრაცია. ჯერ ერთი, პირველად კონტექსტს ჩამოცილებული, იზოლირებული, სიტყვასიტყვით დანაწევრებული, შერჩეული მონაკვეთი, რასაც ციტატა წარმოადგენს, ხელახლა ჩასმულია სხვა დისკურსის უწყვეტ ნაკადში, სხვა ტექსტის ქსოვილში. ის მოქნილობა, რომ დისკურსისაგან ამოღებული ფრაგმენტი სხვაგან ჩავსვით და ასევე ის უნარი, რომ ჰეტეროგენული კომპონენტები შევაერთოთ, უმეტესწილად დამოკიდებულია ციტატის გონივრულ გამოყენებაზე, მის ძალასა და ეფექტურობაზე. თუმცა იშვიათი არაა, რომ ისე ვიქცევით, თითქოს ციტირების აქტი გამომდინარეობდეს აშკარა ფაქტისაგან, უფრო მეტიც, თითქოს ციტატა თავისთავად აზრს შეიცავდა და აზრს გამოხატავდა. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ციტატა ზეგავლენის მოხდენის აქტია და ნიმუში ხდება იმ მეტყველებისათვის, რომელსაც სუბიექტი წინასწარ ჭეშმარიტად მიიჩნევს. ხშირად, ციტატა იმისათვის გამოიყენება, რომ გამონათქვამმა შეიძინოს წონა, არგუმენტაცია და გახდეს გარანტი. ეს ასევე იმ ფაქტს უკავშირდება, როდესაც ციტირებული პასაჟი დასამახსოვრებელი გამონათქვამის სტატუსს აღწევს, საზეიმო განწყობას იძენს და მუდმივობის ფორმას იღებს, რომელსაც იმ გამონათქვამს გადასცემს, რომელსაც განმარტავს ან იშველიებს. ამგვარად, ციტატა არასოდეს უბრალო გამეორება არაა, პირიქით ახალი გამონათქვამია. სხენებული ფრაგმენტი გადატანილია ახალ გარემოში, რომლის გარდაქმნასაც ის ცდილობს იმის მიხედვით, რამდენადაც ის თავად გარდაიქმნა მის მიერ. დიალოგიური პირობების აღდგენით, მნიშვნელობის პროცესის ხელახალი წამოწყებით ინტერტექსტუალური ურთიერთობების დამყარებით, ციტატა უფრო მეტად ამდიდრებს ტექსტის აზრს, ვიდრე ზღუდავს ინტერპრეტაციას. [Beylot. 2004 :23]

ნებისმიერი ციტატა მიმართულია იმისაკენ, რომ დაახლოვოს, ასიმილირებაც კი მოახდინოს სხვადასხვა წყაროებიდან წარმოქმნილ ორ დისკურსს ან ტექსტს, შორის, ვიდრე ისინი დააშოროს. მსგავსი ტიპის ამბივალენტობა იმ ურთიერთობას ახასიათებს, რომელიც აერთიანებს ციტირების მომყვანს და მსმენელს ან მკითხველს. იგულისხმება, რომ ციტატა ყველასათვის ნაცნობია, ამიტომ ის უნივერსალურობის თვისებას და ზოგადი ჭეშმარიტების მნიშვნელობას, ზოგჯერ თვით ანდაზის მნიშვნელობასაც კი იძენს. იშვიათად ხდება, როდესაც ის საქმეში ჩახედულ მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს აერთიანებს და თავის ფუნქციას მყისიერად ასრულებს, როდესაც ის ერუდიციის დემონსტრირებით შთაბეჭდილების მოსახდენად არ გამოიყენება. მაგრამ ყველა შემთხვევაში, ციტატის მომყვანი ვარაუდობს ერთგვარ დამოკიდებულებას თავის ადრესატთან, როდესაც მას პირობად კულტურული მონაცემების ერთიანობასა და კომპეტენციების განაწილებას უყენებს, ის დარწმუნებულია იმაში, რომ ადრესატი მას მიიღებს, მოახდენს იდენტიფიცირებას და ინტერპრეტაციას.

ციტატა ფაქტობრივად რომელიმე ნაწარმოების ისტორიულობის მანიშნებელია. სწორედ ეს არის მთავარი არსი, რომელიც საშუალებას აძლევს რთული სავარჯიშო შეასრულონ ხელოვნების ისტორიკოსებმა, დაუკავშირონ ფორმები ისტორიას. ხელოვნების თუ ლიტერატურის ისტორიკოსები უკვე საკმაოდ იყენებენ ხერხს, როგორც კი სხვის კვალს აღმოაჩენენ. ურჩევნიათ ისაუბრონ ზეგავლენაზე ან წყაროზე ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაიყვანდა მოვლენას საკითხის ერთი მნიშვნელობით მარტივ გადაწყვეტამდე. ინტერტექსტუალობის ცნება გაჩნდა ამ სირთულის დასაძლევად, რადგანაც მას განმარტავენ როგორც „მკითხველის მიერ ურთიერთობათა პერცეფციის შედეგს ნაწარმოებსა

და რაღაც მოვლენებს შორის, რომელიც მას წინ უსწრებს ან მოსდევს“. რომ გავიგოთ ეს ისტორიულობა, თეორიულად ხელოვნების ყველა ნაწარმოებში უნდა ვივარაუდოთ ის, რასაც იუღია კრისტევა ნებისმიერი ტექსტის შესახებ ამბობდა: ნებისმიერი ნაწარმოები „იქმნება ციტატების მოზაიკის მსგავსად“. ჯოისის ცნობილმა მკითხველმა, უმბერტო ეკომ ეს კარგად იცის, რომელიც ყალბი გულახდილობით ამბობს, რომ „ხელახლა აღმოაჩინა ის, რაც მწერლებმა ყოველთვის იცოდნენ: წიგნები ყოველთვის სხვა წიგნებზე საუბრობენ; ასევე ხელოვნების ნაწარმოებები მუდამ ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე საუბრობენ“. ამ შემთხვევაში ციტატა, პოსტ-მოდერნისტული პასუხია. [Beylot. 2004 :28]

ციტატის განსაზღვრამ ფართო გავრცელება ჰპოვა რიტორიკული ფიგურის საშუალებით - მეტონომიით. ციტატები შეიძლება განიხილებოდეს მთელი ტექსტის მეტონომიური შემცველების სახით. არსებითად, მეტონომიურია თვით ციტატის, ლიტერატურული ქარაგმის მიღება, რადგან მკითხველმა ტექსტში წარმოდგენილი კერძო ელემენტებით უნდა განსაზღვროს მთლიანი (ქვეტექსტი), რომლიდანაც ისინი არის აღებული. ზოგიერთ ნაშრომში რიტორიკა სემიოტიკის მეზობლად იმყოფება. მაგალითად, როდესაც ზ. გ. მინცი წარმოადგენს ციტირებული ტექსტის ციტატას – მეტონომიურ სიმბოლო-შემცველად, აქვე მიუთითებს მის ნიშნობრივ ბუნებაზე: ციტატა შეიძლება იყოს სხვა ტექსტის ნიშანი ანუ მისი შენაცვლება ნებისმიერი სახით. ტექსტის სტრუქტურაში მათი ფუნქციის თვალსაზრისით ნიშნების კლასიფიკაცია, ამ შემთხვევაში, მიიყვანება ციტატის და აღუზიის ტრადიციულ გამოყოფასთან.

პირდაპირი მეტყველებისა და ციტატის გაიგივება იმ შემთხვევაში ხდება, როცა პერსონაჟების მეტყველება ციტატის სახით განიხილება: ტერმინი „პირდაპირი მეტყველება“

წარმოიშვა სხვისი მეტყველების გადაცემასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, პირდაპირი მეტყველება არის ციტირება. აქედან ეს ტერმინი გადატანილი იქნა მხატვრული მეტყველების სტილში, სადაც ის გამოიყენება ავტორის მეტყველების პერსონაჟებისგან გამიჯვნის მიზნით. ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს, რომ ციტატა მივიჩნიოთ მხოლოდ პერსონაჟის რეპლიკის განმეორებად ნაწარმოებში. ციტატის ასეთი ფართო გაგება („პერსონაჟების ავტოციტატები“) გვხვდება, აგრეთვე, ლიტერატურისმცოდნეობით ნაშრომებშიც. სხვა გაგებით, ციტატას და პირდაპირ მეტყველებას ახასიათებთ არა იგივეობა, არამედ მათი გათანაბრება ერთი და იგივე გაფორმების გამო ანუ ბრჭყალებით: „პირდაპირ მეტყველებას უთანაბრდება ციტატა პუნქტუაციასთან მიმართებაში, ე. ი. ტექსტის დედანში შეტანილი გამონათქვამების სახით, რომლებიც სხვადასხვა პირებს ეკუთვნით“. [იაკობსონი. 1975:265]. იაკობსონის კვალდაკვალ ჩვენ ვაგრძელებთ გაგებას: ციტირებული (და კვაზიციტირებული) მეტყველება, ერთი მხრივ, და პირდაპირი მეტყველება, ირიბი მეტყველება – მეორე მხრივ, რადგან უკანასკნელი პირველისთვის წარმოადგენენ მხოლოდ გადაცემის ფორმებს.

არის კიდევ ერთი შესაძლებელი მიდგომა, ციტატის განხილვა სახელთან შედარებით. რ. ხარვეტმა პირველმა აღნიშნა ციტატა, როგორც მეტაენობრივი საკუთარი სახელი. თუმცა, ერთი რამ ბუნდოვანია: ხელს შეუწყობს თუ არა ციტატის სპეციფიკის ნათელყოფას მოსაზრება ნომინოლოგიის პოზიციიდან, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მეცნიერებაა და გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ თავად სახელის პრობლემა, იაკობსონის აზრით, ჯერ კიდევ რჩება ერთ-ერთ ჩახლართულ პრობლემად ლინგვისტიკის თეორიაში [იაკობსონი. 1975:269]. თუმცა, რადგანაც ციტატა-სახელის ფუნქციონირება არსებობს გარე

და საკმაოდ ზედაპირული ანალოგიის სახით, ციტატისა და სახელის ერთიანობა და ფუნქციონირება იმაზე, რომ სახელი იძლევა წარმოდგენას დენოტატის ან სიგნიფიკატის შესახებ.

ა. ვეუბიცკა ციტატის სახელთან ანალოგიას ადგენს ციტაციის ანალიზის პირველ ეტაპზე ანუ ტექსტიდან გარე ჩართვების, გარე ელემენტების (ციტატების) გამორიცხვის ეტაპზე: „როგორც არ უნდა იყოს მათი შიდა სტრუქტურა, ანალიზის პირველ ეტაპზე ისინი უნდა განიხილებოდეს როგორც უბრალო, დაუშლელი ელემენტები, მსგავსად საკუთარი სახელების დაუშლლობის, მაშინაც კი, როდესაც მათ აქვთ გამჭირვალე „ეტიმოლოგიური მოტივაცია“. [ვეუბიცკა. 1989:154]

საკუთარ სახელთან დაახლოების გზით, ციტატა შეიძლება განიხილებოდეს იშვიათ ტერმინებს შორის ანუ ენობრივ ერთეულებს შორის, რომლებსაც აქვთ ერთიანი რეფერენციების უნარი. თვით ფაქტი, ლინგვისტური ციტატის ტერმინის გამოყენებისა ენათმეცნიერულ შრომებში გულისხმობს ექსტრალინგვისტური მოვლენის პარალელურ არსებობას. მორავსკიმ შემოიღო ტერმინი „პარაციტატა“ ანუ ციტატა სხვა სემიოტიკური სისტემებიდან. ამ გაგებით, ციტატები არის ნიშნები, რომლებიც არიან უსიტყვო ხელოვნების ნაწარმოებების შემცველები (სურათების, მუსიკალური ნაწარმოებების და ა. შ.). თუმცა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხარისხობრივად სხვა მოვლენასთან, რომელიც გვთავაზობს გადაკოდირების მომენტს: ერთ დონეზე ვერ იმოქმედებენ პირველადი (მუსიკა, მხატვრობა) და მეორადი (ლიტერატურა) სემიოტიკური სისტემები.

ციტაციის პრობლემა, როგორც უკვე ვახსენეთ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერტექსტის პრობლემასთან და მასში მიმდინარე დინამიკურ პროცესებთან, ანუ, ციტატაში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ის არის ინტერტექსტის ნიშანი. ციტაცია არის

პროცესი პროტექსტსა და მეტატექსტს შორის. ციტატა ფართო გაგებით არის ინტერტექსტუალური ნიშანი მაღალი ენერგეტიკული პოტენციალით, რაც საშუალებას აძლევს მას გადაადგილდეს ინტერტექსტის დროში და სივრცეში, აგროვებს რა კულტურულ აზრებს და ამით ზრდის იმპლიციტურ ენერგიას. თუმცა, ინტერტექსტუალური ციტატის ნიშნის ზოგადი ენერგია მუდმივად მაღალია, მისი ხარისხი იცვლება დროის ყოველ მომენტში, ასევე იზრდება მისი რეზონანსი მკითხველებში, რასაც იმპლიციტური ენერგიის ცვლილებისკენ მიჰყავართ. ციტატა ხასიათდება მკვეთრი ენერგეტიკული ამოფრქვევებით [ბარტი. 1970:89]. არსებობს პოეტები, სკოლები და მთელი ლიტერატურული პერიოდები, რომლებმაც ციტატის ნიშნის ქვეშ გაიარეს. ამრიგად, XX საუკუნეში წარმოიშვა მისი აქტიურობის სულ ცოტა ორი პიკი: ასწლეულის დასაწყისი და დასასრული, აკმეიზმი (პოეტური შემოქმედების გამახვილება და სრულყოფა) და პოსტმოდერნიზმი. აკმეიზმში ციტატა არის წაკითხვის ერთ-ერთი საშუალება სხვისი როგორც საკუთარისა [სმირნოვი. 1970:56], ცალკეული ნაწარმოების ფარდობა ინტერტექსტთან მთლიანობაში. XX საუკუნის დასასრულს, პოსტმოდერნიზმი თავისი ყოფიერების კატასტროფული ამოწურვის შეგრძნებით არის „კრიზისულობის ტოტალური კრიზისი“ [ბახტინი. 1979:73]. „ჩვენ ვცხოვრობთ იქ, სადაც ყველა სიტყვა უკვე ნათქვამია“, ოდესღაც წარმოთქვა ა. ვერინცევმა. ამიტომ, თითოეული სიტყვა და თითოეული ასოც კი პოსტმოდერნისტულ ტექსტში, არის ციტატა [რუდნევი. 1997:221]. ამასთანავე, აკმეისტური ციტატა-ქარაგმის ნაცვლად, რომელიც შესაძლოა არც კი შეგვინიშნავს, ციტატა, რომელიც განმსაზღვრელია გააზრებისა და სიღრმისა, მივიღეთ „ტოტალური პოსტმოდერნისტული ციტატა-კოლაჟი“ [რუდნევი. 1997:229]. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ორივე მიმართულებისთვის

დამახასიათებელია ინტერტექსტუალობის გლობალური სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ლიტერატურულ ციტატაზე, როგორც თავისებური ინტერტექსტუალობის ნიშნის ეტალონი.

ნაწარმოების ციტატურობა საჭიროებს განსაკუთრებულ მკითხველს, რომელიც ფლობს დიდ იმპლიციტურ ენერგიას – აი რატომ არის აკმეიზმის მეცნიერულ პოეტიკაში ამდენი მოსაზრება მოსაუბრის შესახებ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი რეზონანსი, რომელიც მრავალჯერ გაზრდის ნაწარმოების ენერგიას და მიუახლოებს მას ტექსტის მრავალსახოვანი პოტენციური აზრების წვდომას. ლიტერატურული ციტატის წინ წამოწევა ინტერტექსტში დაკავშირებულია კონკრეტული, უნიკალური აზრების დაკარგვასთან, ავტორის ინდივიდუალურ ნაკვალევთან და შესაბამისად, ნაწილობრივ ხელს უწყობს იმპლიციტური ენერგიის გარდაქმნას ექსპლიციტურში.

კოგნიტური პოზიციიდან ციტაცია არის სუბიექტის კრეატიული ანალიტიკურ-სინთეტიკური საქმიანობა ტექსტური ინფორმაციის გადაამუშავებისათვის. ციტატის მომყვანი თითქოს აკეთებს პროტექსტის ანალიზს, გამოჰყოფს რა იმ ელემენტებს, რომლებიც მისთვის ყველაზე მეტად წარმომადგენლობითია. ეს, თავისი არსით, ტექსტის მოძრავი სტრუქტურირების ფენომენოლოგიური დემონსტრირების ანალოგია, რომელიც ისტორიის მანძილზე მკითხველიდან მკითხველამდე იცვლება [ბარტი. 1969:425]. შეიძლება ითქვას, რომ ციტაციის დროს ტექსტის მასალა განიცდის დაშლას, დემონტაჟს, გამოდის როგორც მატერია. საინტერესოა, რომ ციტაციის დროს განხორციელებადი ტექსტის დემონსტრაცია არის მეორე რიგის მოვლენა, რადგან ხდება პროტექსტის მატერიის ჩვენება, რომელიც ზოგადენობრივი მასალის დემონსტრირების შედეგად გამოჩნდა.

ასეთი ანალიზით გამოყოფილ ერთეულებად შეიძლება განვიხილოთ თავად

ენის ერთეულები – ხმა, მარცვალი, მორფი, სიტყვა და ა. შ. და ე. წ. შრეები, გადმობრუნებული ელემენტები, შტაინის თანახმად – სიტყვის ნაწილები, წინადადების სეგმენტები, გრაფიკის ელემენტები და ა. შ., ასევე, რთული კომპლექსური წარმონაქმნები – ბილიკები, ფიგურები. დეკონსტრუქციას განიცდის არა მარტო პოეტური ნაწარმოების აღსანიშნავი ელემენტი, არამედ აღმნიშვნელიც, როგორცაა აზრი, სიუჟეტი. შედეგად, შემადგენლის როლში შესაძლოა იყოს მოტივი, პროპოზიცია, სიუჟეტური სქემა.

იმის ინვენტარიზება, რასაც შეიძლება ციტატა დავარქვათ, შეუძლებელია. – ციტატა არის სუბიექტის მიერ მინიჭებული მხატვრული ნაწარმოების კომპონენტის ფუნქცია. აძლევს რა კომპონენტს ციტატის სტატუსს, ციტატის მომყვანს ამით სტატუსი აჰყავს ლოგიკურ ანტეცედენტამდე (წინამორბედამდე), გამოჰყავს ის ნიშნულად, რომელიც ახდენს პროტოტექსტის კონცენტრაციას. როდესაც იგი ციტატას ახალ ნაწარმოებში (მეტატექსტში) ათავსებს, ის მრავალჯერ ზრდის მის ენერგიას საკუთარის ხარჯზე. ეს უკვე მეორე, მასინთეზირებული ფაზაა ციტაციის პროცესის დროს, როდესაც დეკონსტრუქციის საპირისპიროდ ხდება კონსტრუირება.

ციტირების ობიექტის ანალიტიკურ-სინთეზური (დეკონსტრუქციულ-კონსტრუქციული) მოღვაწეობა შეიძლება განვიხილოთ ტექსტის დერივაციული მექანიზმების საშუალებით. საკმაოდ ნათელია, რომ ტექსტი იქმნება მისი ერთი კომპონენტის მომდევნო მეორისადმი გაშლით. სწორედ რომ არ გაშლაზე ორიენტირებულია ტექსტის უფრო დამუშავებული ფსიქოლოგიური მოდელები, რომლებიც აღწერენ მოსაუბრის სემანტიკური და სხვა პროგრამების ვერბალიზაციას.

ამასთან ერთად, ნებისმიერი ტექსტი ვერ გაიშლება, თუ არ შეიკვეცა, რადგან ადამიანის მოკლე მეხსიერების მოცულობა შეინახავს მხოლოდ წინას. შეკვეცის მექანიზმი

ლევიმ წარმატებულად მიიჩნია, როგორც “გონების ექო“. მისი მოქმედების პრინციპი აიგება მეხსიერების აღდგენისას იმპულსური სტრუქტურების განმეორებით, ნერვული უჯრედების სურათების აღგზნებით. ამრიგად, “გონება თითქოსდა იჭერს აღმზნებიმპულსებს და აკეთებს მათ გადაკოდირებას, როგორც საკუთარს. ის ამას შინაგანად იმეორებს, კვეცავს და შლის. შეკვეცა არის დამახსოვრება, გაშლა – მოგონება“. იგივე პროცესი უფრო ადრე აღწერილია ნ.ა. რუბაკინის მიერ და მას ეწოდება ენგრამირება/ეკფორმირება [რუბაკინი. 1977:87].

ამრიგად, ციტაცია წარმოადგენს სუბიექტის მიერ განხორციელებული პროტოტექსტის სემანტიკურ კომპრესიას, ხოლო ციტატა არის ამ პროცესის შედეგი. ენერგეტიკული თვალსაზრისით, კომპრესიის დროს, მრავალჯერ იზრდება ციტატის ენერგია. ამასთან ერთად, ღია სისტემებში (რასაც წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოები) გარდაუვალია ენერგიის დისილაცია და ენტროპიის ზრდა ანუ პროტოტექსტის ხარისხობრივი გარდაქმნა ციტატაში. ციტატის ჩართვა ახალ გარემოცვაში – მეტატექსტში, არის სუბიექტის მიერ მისი შეფუთული სახის გახსნის პროცესი. ორივე ეს პროცესი შეუძლებელი იქნება სუბიექტის შიგნიდან ენერგიის შემოდინების გარეშე, რომელიც წარმოადგენს ძლიერ შემოქმედებით პიროვნებას და რომელსაც შეუძლია მთლიანად შეცვალოს ციტატის ინფორმაციის ხასიათი. ამის კლასიკური მაგალითია შექსპირის ლიტერატურული მოღვაწეობა, ის იყენებდა სხვის სიუჟეტურ სქემებს და სახეებს, სრულიად ცვლიდა მათ პირველსაწყის აზრს და ამასთან ერთად, ციტატას ანიჭებდა უდიდეს ენერგიას.

დასკვნა

ავტორს შეაქვს ციტატები თავის კონტექსტში გარკვეული მიზნით. ახალი სემიოს-

ფეროს შესაქმნელად, რომელშიც შენარჩუნებულია მყარი დაძაბულობა “საკუთარ” და “სხვის” სიტყვას შორის. ციტატების ხარისხის არაერთფეროვნება გულისხმობს მის დაყოფას. ტექსტში ყოველთვის არსებობს ექსპლიციტური და იმპლიციტური ციტატები. ციტატის ბოლო ნაირსახეობის მოძებნა ტექსტში ზოგჯერ ძნელია, ამ შემთხვევაში აუცილებელია მკითხველის კომპეტენტურობა, რადგან მასზეა დამოკიდებული ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია. [ფატევა. 2000]. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი მოვლენა არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ავტორის როლის შემცირებას ხმათა მრავალფეროვნებაში. ტექსტის განვითარებასთან ერთად ნათელი ხდება ხმათა ურთიერთშერწყმა (აღრევა), განსაკუთრებით კი გარდამავალ ეტაპებზე ნათლად გამოიხატება სხვადასხვა დისკურსებისა და ჰიბრიდაციების არსებობაც. ციტაცია ერთმანეთში აერთიანებს კითხვის და წერის აქტს. ვინაიდან წერა – ეს ყოველთვის კვლავწერაა და არ განსხვავდება ციტირებისაგან. სხვადასხვა ავტორების კითხვა – ეს არის თვითწერა, მაგრამ იქ, სადაც კითხვა არის ინდივიდუალური აქტი; ციტაცია კი ნაწერში არის სხვა ნაწერი, ანუ ნაწერი ნაწერში.

ციტაციის დროს პროტოტექსტის აზრობრივ დამუშავებას აქვს ინტერპრეტაციის ხასიათი. გამოხატულება, რომელიც ხდება ინტერპრეტაციის ობიექტი, აუცილებლად განიცდის რეკონსტრუქციას დროისა და სუბიექტის კოგნიტური ინდივიდუალური სისტემის შესაბამისად. [კუბრიაკოვა. 1995:31]. ის, რომ სხვადასხვა სუბიექტები სხვადასხვანაირად ახდენენ ტექსტის ინტერპრეტირებას, არის ჭეშმარიტება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას. თუმცა, საინტერესოა მეორე ფენომენი: ერთი და იგივე ავტორი თავისი შემოქმედების სხვადასხვა

პერიოდში ხშირად იყენებს ერთი და იგივე სიტყვიერ ფორმას – თვითციტირების მოვლენა, თვითშემოქმედება, რაც დამოუკიდებელი შესწავლის საგანია.

ლიტერატურა:

1. Бахтин М. М.(1975):Слово в романе, Вопросы литературы и эстетики. Проблема содержания, материала и формы в словесном. М.
2. Бахтин М. М.(1979): Эстетика словесного творчества.М.
3. Бахтин М.М.(1996): Проблема текста ,Собрание сочинений. Т. 5. М.
4. Brousseau-Beuermann C. (1990) : La copie de Montaigne. Etude sur les citations dans les «Essais». Paris
5. Barthes R.(1973): Texte, Encyclopaedia universalis. Paris. Vol 15
6. Beylot P. (2004): Emprunts et citations dans le champ artistique. L’Harmattan. Paris
7. Compagnon A. (1979): La seconde main ou le travail de la citation. Paris
8. Вежбицка М. В. (1989): К обоснованию теории «вторичных текстов». Филологические науки.
9. Jakobson R. (1963): Essais de linguistique générale. P.: Ed. de Minuit
10. Jakobson R. (1987): Работы по поэтике. М.: Прогресс
11. Падучева Е. В (1981):О связности диалогического текста // Структура текста-81. М.
12. Руднев В. П. (2001): Словарь культуры XX века. М.
13. Смирнов И. П. (200): Порождение интертекста. С 8.
14. Фатеева Н. А. (2000): Контрапункт интертекстуальности, или интертекст в мире текстов. М.

Цитата – интертекстуальный знак с высоким энергетическим потенциалом

*Пхакадзе Тамар Георгиевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 928 000
E-mail: thamar_pkhakadze@yahoo.fr*

Резюме

Цитата является психологической базой, так называемой семантической, вербальной, язычной памятью говорящего, в которой хранятся все воспринимаемые человеком тексты. Цитата, в широком смысле слова, это интертекстуальный знак с высоким энергетическим потенциалом, который дает ей возможность передвигаться по интертексту во времени и пространстве. Собирая суть культурной мысли, цитата наполняет текст имплицитурной энергией. Автор заносит цитаты в свой текст для создания новой семиосферы, где сохранена твёрдая напряженность между словами “свой” и “чужой”.

Ключевые слова:

интертекстуальность, интертекст, цитата, цитация, своё слово, чужое слово.

Quotation - Intertextual Sign with the High Energy Potential

*Tamar Pkhakadze
Tbilisi State University
Humanitarian faculty of sciences
36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 599 928 000
E-mail: thamar_pkhakadze@yahoo.fr*

Abstract

The purpose of the study is to examine the quotation as a psychological basis, so called semantic, verbal, human's linguistic memory, that stores all texts perceived by man. Quotation in its broadest sense, is the intertextual sign with high energy potential, which gives the ability to move through the time and the space of intertext. Collecting cultural thought, quotation increases the implicit energy in the text. Author puts quotation in his text to create a new semiosphere in which is stored a solid tension between “his” and “other's” words.

Keywords:

Intertextuality, intertext, quote and quotation, “his” word, “other's” word.

Types of Communication

Ana Chkheidze
Georgian Technical University
Department of Georgian Philology and Media
Technologies
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 626 800
E-mail: annjevi@yahoo.com

Abstract

Communication is considered to be an activity that occurs between a sender (communicator) and a receiver (communicant). A sender has a thought or meaning in mind. The sender encodes this meaning into a message that is to be transmitted to a receiver. Once encoded, the message is then transmitted through a channel to the receiver. The receiver receives the transmission and then decodes it. Receivers then become senders – they send decoded message back to the original sender. The encoded message may take different forms of communication activities. It should be mentioned that all these forms of communication activities are intended to obtain clarification of the original message. Effective communication implies the following result: information – facts, opinions, reactions, and experience – is encoded, received and decoded, in other words, communication barriers are overcome. Effective communication implies the process of identifying semantic denominator.

Keywords:

effective communication, information, experience, verbal communication, nonverbal communication.

Introduction

There are different types of communication. Verbal communication includes sounds, words, language and speaking. Language is said to have origi-

nated from sounds and gestures. There are many languages spoken in the world. The basis of language formation is: gender, class, profession, geographical area, age group and other social elements. Speaking is an effective way of communicating and is again classified into two types:

- Interpersonal communication;
- Public speaking.

Main Body

Effective verbal communication is an inseparable part of business communication. In a business, you come across people from various ages, cultures and races. Fluent verbal communication is essential, to deal with people in business meetings. Also, in business communication self-confidence plays a vital role which when clubbed with fluent communication skills can lead to success.

Public speaking is another verbal communication in which you have to address a group of people. Preparing for an effective speech before you start is important. In public speaking, the speech must be prepared according to the type of audience you are going to face. The content of your speech should be authentic and you must have enough information on the topic you have chosen for public speaking. All the main points in your speech must be highlighted and these points should be delivered in the correct order. There are many public speaking techniques and these techniques must be practiced for an effective speech.

Types of communication based on the communication channels used are:

- Verbal Communication;
- Nonverbal Communication.

Verbal communication refers to the form of communication in which message is transmitted verbally. Communication is done by word of mouth and a piece of writing. Objective of every communication

is to have people understand what we are trying to convey. In verbal communication remember the acronym KISS (keep it short and simple).

When we talk to others, we assume that others understand what we are saying because we know what we are saying. But this is not the case. Usually people bring their own attitude, perception, emotions and thoughts about the topic and hence create barrier in delivering the right meaning.

So in order to deliver the right message, you must put yourself on the other side of the table and think from your receiver's point of view. Would he understand the message? How it would sound on the other side of the table?

Verbal Communication is further divided into:

- Oral Communication;
- Written Communication.

Oral communication includes face-to-face conversations, speech, telephonic conversation, video, radio, television, voice over internet.

Advantages of Oral communication are:

- It brings quick feedback;
- In a face-to-face conversation, by reading facial expression and body language one can guess whether he/she should trust what's being said or not.

Disadvantage of oral communication

- In face-to-face discussion, user is unable to deeply think about what he is delivering.

In written communication, written signs or symbols are used to communicate. A written message may be printed or hand written. In written communication message can be transmitted via email, letter, report, memo etc. Message, in written communication, is influenced by the vocabulary and grammar used, writing style, precision and clarity of the language used.

Written Communication is most common form of communication being used in business. So, it is considered core among business skills.

Memos, reports, bulletins, job descriptions, employee manuals, and electronic mail are the types of written communication used for internal communication. For communicating with external environ-

ment in writing, electronic mail, Internet Web sites, letters, proposals, telegrams, faxes, postcards, contracts, advertisements, brochures, and news releases are used.

Advantages of written communication include:

- Messages can be edited and revised many time before it is actually sent;
- Written communication provides record for every message sent and can be saved for later study;
- A written message enables receiver to fully understand it and send appropriate feedback.

Disadvantages of written communication include:

- Unlike oral communication, written communication doesn't bring instant feedback;
- It takes more time in composing a written message as compared to word-of-mouth.

Non-verbal communication involves physical ways of communication, like, tone of the voice, touch, smell and body motion. Creative and aesthetic non-verbal communication includes singing, music, dancing and sculpturing. Symbols and sign language are also included in non-verbal communication. Body language is a non-verbal way of communication. Body posture and physical contact convey a lot of information. Body posture matters a lot when you are communicating verbally to someone. Folded arms and crossed legs are some of the signals conveyed by a body posture. Physical contact, like, shaking hands, pushing, patting and touching expresses the feeling of intimacy. Facial expressions, gestures and eye contact are all different ways of communication. Reading facial expressions can help you know a person better.

Nonverbal communication is the sending or receiving of wordless messages. We can say that communication other than oral and written, such as gesture, body language, posture, tone of voice or facial expressions, is called nonverbal communication. Nonverbal communication is all about the body language of speaker.

Nonverbal communication helps receiver in interpreting the message received. Often, nonverbal

signals reflect the situation more accurately than verbal messages. Sometimes nonverbal response contradicts verbal communication and hence affects the effectiveness of message.

Nonverbal communication comprises the following elements:

Appearance

- Speaker: clothing, hairstyle, neatness, use of cosmetics;
- Surrounding: room size, lighting, decorations, furnishings.

Body Language

- Facial expressions, gestures, postures.

Sounds

- Voice tone, volume, speech rate.

Based on style and purpose, there are two main categories of communication and they both bear their own characteristics. Communication types based on style and purpose are:

- Formal Communication;
- Informal Communication.

In formal communication, certain rules, conventions and principles are followed while communicating message. Formal communication occurs in formal and official style. Usually professional settings, corporate meetings, conferences undergoes in formal pattern.

In formal communication, use of slang and foul language is avoided and correct pronunciation is required. Authority lines are needed to be followed in formal communication.

Informal communication is done using channels that are in contrast with formal communication channels. It's just a casual talk. It is established for societal affiliations of members in an organization and face-to-face discussions. It happens among friends and family. In informal communication use of slang words, foul language is not restricted. Usually informal communication is done orally and using gestures.

Informal communication, unlike formal communication, doesn't follow authority lines. In an organization, it helps in finding out staff grievances as

people express more when talking informally. Informal communication helps in building relationships.

Conclusion

Communication is a process of exchanging information, ideas, thoughts, feelings and emotions through speech, signals, writing, or behavior. In communication process, a sender (encoder) encodes a message and then using a medium/channel sends it to the receiver (decoder) who decodes the message and after processing information, sends back appropriate feedback/reply using a medium/channel.

People communicate with each other in a number of ways that depend upon the message and its context in which it is being sent. Choice of communication channel and certain style of communicating also affect communication. So, there are different types of communication.

Literature

1. Dyer G. (1982): Advertising as Communication. Methuen.London.
2. Ang L. (1991): Desperately Seeking The Audience. Routledge .London.
